პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 29 (19770) სამშაბათი, 3 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემაა: სახმილების პირმშო

თბილისის ელმავალმშენებლის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი წარმატებებს აღწევს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ერთნაირი მონდომებით შრომობენ გაერთიანების ყველა საწარმოს, საამქროს, უბნის, ბრიგადის კოლექტივები.

ელმავალმშენებლები თანდათან ძლიერენ პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ხირთულეებს. წარმატებით გაიარა არასაუწყებო კონტროლი ვლ-11 და ვლ-15 ელმავლებმა.

ახალ პირობებში მუშაობის პირველი თვის მანძილზე თბილისელმა ელმავალმშენებლებმა სახელმწიფო მიღებას წარუდგინეს 8,5 მილიონი მანეთის ძირითადი პროდუქცია. 90 პროცენტი პირველი წარდგენით მიიღეს, მაგრამ დანარჩენი პროდუქცია დაბრუნეს დამატებითი დამუშავებისათვის. არასაუწყებო კონტროლი გაიარა 800 ათასი მანეთის საერთო ღირებულების ფართო მოხმარების საქონელმაც.

სურათებზე: სახელმწიფო მიღების წარმომადგენლები ზაურ კალანდარიშვილი და ვიტალი იორდანოვი ულოცავენ სამღებრო უბნის უფროსს პინუზე ჯიქაძეს, საამწყობო საამქროს უფროსს შალვა ჭელებაქიანს, ზეინკლებს გიორგი ლელაძეს, როსტომ გამცელიძეს და გიორგი პაპაშვილს სახელმწიფო მიღების პირმშოს — მოდერნიზებული ხერეის ვლ-11 ელმავალს; სახელმწიფო მიღების წარმომადგენელი მანანა მირიანაშვილი ამოწმებს ელმავლის დეტალების აწყობის ხარისხს.

ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ახლა საჭიროა მხოლოდ საქმე

რესპუბლიკის მშრომელები განაგრძობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების, მასზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის განხილვას. მთლიანად იწონებენ რა პლენუმის შედეგებს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ უდიდესი ისტორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, ღრმა შეგავლენას ახდენენ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეზე. მშრომელები აცხადებენ, რომ მზად არიან გადავიდნენ აქტიურ მოქმედებაზე, ნაკლოვანებათა მტკიცე აღმოფხვრაზე, ბოლო დროს მიღწეული დადებითი ტენდენციების გაღრმავებაზე.

პროგრესი საიმედო გარანტია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მკაფიო მაგალითია იმისა, რომ ჩვენი პარტია თანამიმდევრულად ზრუნავს თითოეული ჩვენგანისათვის, საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებების, ღირსებების შესარულებისადმი, ბრძოლა უნარისა და ნიჭის განვითარებისათვის.

ჩემთვის, როგორც უპარტიოსათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დებულებანი, რომლებშიც ხაზგასმულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას — კერძოდ, მართვაში უპარტიო მშრომელების უფრო ფართოდ ჩაბმას. რა დასამალია, და ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დამკვიდრდა მცდარი აზრი, თითქოს ხელმძღვანელ სამუშაოზე მხოლოდ კომუნისტები უნდა დაიწინაურონ. ასეთი მანკიერი პრაქტიკა არა მარტო ბღალავდა ადამიანების უფლებებს, არამედ მნიშვნელოვნადაც ავიწროებდა საკადრო განახლებას, ჩვენი საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის სოციალურ ბაზას. უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთმა მიდგომამ ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა სხვადასხვა ჯურის კარიერისტების გაჩენას, რომლებიც ცდილობდნენ შემძვრალიყვნენ პარტიაში, შემდეგ კი დაეკავებინათ ხელმძღვანელი ადგილები თანამდებობა პირადი კეთილდღეობის მიღწევისათვის.

რაღა შორს წავიდეთ. ბევრი იყო ჩვენთან ისეთიც, რომლებსაც ეშვი ეპარებოდათ, რომ უპარტიო ჰამლეტ ხაბულიანი, რომელიც დაიწინაურეს ქარხანა „ელექტროავტომატის“ დირექტორის მოადგილედ და ვიტალი ვაშაკიძე — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ წარმოების უფროსის მოადგილედ, თავს გაართმევენენ პასუხსაგებ უბნებს. მაგრამ პირველივე თვეებმა ცხადყო: მათ შეძლეს გაეყოლებინათ ადამიანები, ახალი განწყობა შეექმნათ კოლექტივის მუშაობაში. და შედეგებმაც არ დააყოვნა: კოლექტივებში გაუჯობესდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მუშაობის ხარისხი შესამჩნევად ამაღლდა. ამას მეტყველებს ისიც, რომ თუ მაგალითად, ჯერ კიდევ სამი-ოთხი თვის წინათ პირველი წარდგენით სახელმწიფო მიღება იღებდა პროდუქციის 40 პროცენტს, ახლა ეს მაჩვენებელი ორჯერ და მეტად გაიზარდა.

გაერთიანების მეთაური ქარხნის სამსხმელო საამქროს ტექნოლოგად ვმუშაობდი. უკვე ოთხი თვეა ამავე საამქროს უფროსად ამირჩიეს. ვფიქრობ, იმედს არ გავუცრუებ ჩემს კოლეგებს, ნდობას ხომ პატიოსანი, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით უნდა უპასუხო. ეს საქმე კი ჩვენს საწარმოში ყველაზე პასუხსაგებია. შარშან ასი პროცენტით შევასრულეთ რეალიზაციის გეგმა მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით, ვაპირებთ შემდგომშიც არ შევანელოთ მუშაობის ტემპი, პროდუქცია კი მხოლოდ უმაღლესი ხარისხისა გამოვუშვათ.

ზ. ალხაზიშვილი,
საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მეთაური ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსი.

ღრმა თეორიული აზროვნებისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებში, უწინარეს ყოვლისა, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში საფუძვლიანად შეფასდა ჩვენი ცხოვრების ყველა მხარე. ლენინური პრინციპულობით, შეულამაზებლად არის გაშუქებული ბევრი საჭირბოროტო პრობლემა.

ჩვენთვის, საზოგადოებათმცოდნეთათვის, უაღრესად საინტერესოა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენების ის დებულებანი, სადაც ლაპარაკია თეორიული აზრის განვითარებაზე, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციებზე.

„მნიშვნელოვანწილად მოიკიდა ფეხი, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — ქარაფშუტულმა წარმოდგენებმა კომუნიზმის შესახებ, ნაადრინრმა წინასწარმეტყველებებმა და აბსტრაქტულმა მსჯელობამ, ეს, თავის მხრივ, აკნინებდა სოციალიზმის ისტორიულ მნიშვნელობას, ასუსტებდა სოციალისტური იდეოლოგიის ზემოქმედებას“.

დიახ, უეჭველია, რომ დღეს საზოგადოებრივი მეცნიერებანი უკეთ უნდა იყოს ორიენტირებული ცხოვრებაზე. საზოგადოებათმცოდნე ცხოვრების წიაღში უნდა ტრიალებდეს, საფუძვლიანად სწავლობდეს და აშუქებდეს მის ყველა მხარეს. ბოლო წლებში დამკვიდრებული რუტინისა და უძრაობის ვითარება საშუალებას არ აძლევდა საბჭოთა ადამიანებს ფართო მონაწილეობა მიეღოთ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. ახლა თვით დრო ავალებს თითოეულს ლოდინის პოზიციიდან აქტიურ მოქმედებაზე გადავიდეს, გამოავლინოს შინაგანი ძალები, ჩააყენოს ისინი პროგრესისა და განაახლების სამსახურში.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ნოვატორულ დებულებებს ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისინი მიზნად ისახავენ ცხოვრების ყველა სფეროს კარდინალურ გარდაქმნას და ჩვენი, მეცნიერების, ვალია ამაში დიდი წვლილი შევიტანოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მასზე მიღებული დადგენილების ფართო პროპაგანდის ნამზირი ქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა უკვე შეიმუშავა ღონისძიებათა ვრცელი გეგმა. კერძოდ, გათვალისწინებულია სამეცნიერო სესიის მოწყობა, რომელიც მიეძღვნება პლენუმის მუშაობის შედეგებს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მონაწილეობით გაიმართება კონფერენციები და ლექციები რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. გამოსაცემად და დასაბეჭდად მზადდება პლენუმის გადაწყვეტილებათა ძირითადი ასპექტების ამსახველი მთელი რიგი მასალები.

ბ. უვანია,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პროფესორი.

ვიზიტად მოსკოვში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 2 თებერვალს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ათანასოვი მეუღლითურთ.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, სხვა ოფიციალური პირნი.

იმის გამო, რომ სტუმარი შეუძლოდ გრძნობდა თავს, ოფიციალური ცერემონია გადაიდო.

(საკდისი).

ეროვნული ფოლადი

ეროვნულ ფოლადი მეცხოველეები გამოჯე ხალხია. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში რაიონში რამდენჯერმე გაიმარჯვა სარეგბირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გარდამავალი დროშებითა და ვიმპელებით დაჯილდოდდა. ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ფერმის მუშაკებს. ამიტომაც ცდილობენ ყოველმხრივ განამტკიცონ მოპოვებული წარმატებები.

1986-87 წლის ზამთრის პერიოდში საზოგადოებრივი მეურნეობების პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის სადგომები დროზე და კაპიტალურად შეკეთდა. ყველგან დამონტაჟებულია და გამართულია წყლის, გასაცხელებელი დანადგარები, სარწყულებები, ნაკელის გამტანი ტრანსპორტიორები. ყუთათიანების გადიდების მიზნით თივა, ნამჯა, ჩალა და ძირხვენები საკვებ საამქროებში წინასწარ მომზადდება ხოლმე და ისე მიეცემა პირუტყვს. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად შარშანდელთან შედარებით 30 პროცენტით გაიზარდა წველადობა, 10 პროცენტით — პირუტყვის ყოველდღიური წონამატება.

ნაფიჩხავოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობა თავისი ეკონომიკით ერთ-ერთი დიდი რაიონში. აქ ჩაის, ხილის, სიმინდის, აპრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მოჰყავთ. კოლმეურნეობის ფერმებში 800 სულზე მეტი საქონელი და 500-ზე მეტი ღორი იზამთრებს. საკვებმომპოვებლებმა ზამთრისათვის საკმაოზე მეტი მოიმარაგეს უხეში და წვნიანი საკვები.

— ამ საქმეში წარმატებას ვუმადლით უგანრიგო ბრიგადას, რომელმაც შეამცირა საკვების თვითღირებულება და ხარისხიც გაუმჯობესა, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რონინ გოგუამ, — საკვებწარმოებაში დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერება 32 პროცენტით გაიზარდა. საკვების ბალანსის რეგულირებისათვის ვიყენებთ მინერალურ დანამატებს. ეროვნული სიტყვით, ყველაფერს ვლონობთ იმისათვის, რომ ზამთარშიც შევინარჩუნოთ ზაფხულის წველადობა

ფალეინჯიხა

აგრონომიერველი კომპლექსის მუშაკები აქედანვე უყრიან საფუძველს ხუთწლედის მეორე წლის მოსავალს. მათ ფარეთოდ გაშალეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. 1989 ჰექტარიდან მზრალად მოხნულია 371 ჰექტარი მიწა. მუშავდება ჩაის პლანტაციების რიგთამორისები და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების ფართობები. 3393 ჰექტარი ჩაის პლანტაციებიდან დამუშავებულია 824 ჰექტარი. კარტოგრამების მიხედვით ხდება ქალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქების შეტანა და ბუჩქების სხვლა, მცირე მექანიზაციისათვის განკუთვნილ პლანტაციებში არემონტებენ ელექტროხაზებს, აწესრიგებენ შიდასაპლანტაციო გზებსა და ჩაის ფარდულებს. ეს სამუშაოები ხარისხოვნად და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ორჯონიკიძის, ლიის, პირველი მაისის, ობუჯის, მიქავას და ნაკიფუს კოლმეურნეობებში.

კარგად ირჯებიან მინდვრის მუშაკებიც, რომლებსაც მარცვლოვანებისა და საკვები კულტურებისათვის გამოყოფილ ფართობებში შეაქვთ ნაკელი, მარცვლოვანი, პარკოსანი და საკვები კულტურების თესლს იმარაგებენ და კონდიციამდე აჰყავთ. რაიონში განსაკუთრებულ კონტროლს უწევენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტს, სათადარიგო ნაწილებით და საწვავ-საპოხი მასალებით საზოგადოებრივი მეურნეობების მომარაგებას. („კომუნისტი“ კორ.).

პასუხსაგები გადაწყვეტილებებისა და აქტიური მოქმედების დრო

საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობა

პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობის გარდაქმნის კომპლექსური პროგრამა დასახა საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ. მისმა დელეგატებმა განიხილეს კონკრეტული გზები, თუ როგორ გააძლიერონ მშრომელთა ამ მასობრივი ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარებაში.

საქართველოს პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ვ. ბ. სირაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვაში ყრილობაზე, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ვ. ბ. მიშინისა და კამათის სხვა მონაწილეთა გამოსვლებში ნათლად გამოიკვეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებებით ნაკარნახევი თვისებრივად ახალი მიდგომა პროფკავშირთა პრაქტიკული საქმიანობისადმი. კრიტიკულად გაანალიზეს რა გარდაქმნის პირველი ნაბიჯები, ყრილობის დელეგატებმა მთელი პრინციპულობით გამოავლინეს განახლების პროცესზე პროფკავშირთა არასაკმარისი აქტიური გავლენის მიზეზები. განსაზღვრეს სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების საზოგადოებრივ საქმეში შრომითი კოლექტივების წვლილის გადიდების ქმედითი ღონისძიებანი.

მთლიანად გამოვავლინოთ პოტენციალი

დღეს ერთადერთი სწორი მიდგომაა ყოველი ამოცანა, ყოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა განვიხილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრიზმით. ისინი შეიცავენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარების, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს გარდაქმნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული პოლიტიკური კურსის მტკიცე განხორციელების ფუნდამენტურ წანამძღვრებს. ეს აზრი წმიელ ზოლად გასდევდა ყრილობაზე ყველა ორატორის გამოსვლას.

სამართლიანად აღინიშნა, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებული ტემპი უწინარეს ყოვლისა მშრომელი ადამიანების თავდადებული მეცადინეობის შედეგია, და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმაც დიდი მუშაობა გასწიეს მათი დაჩქარებისათვის. მაგრამ უძრაობის, თვითკმაყოფილებისა და ხელმშვებულობის ტენდენციას, ასე მწვავედ რომ იჩენა თავი ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა პროფკავშირულ მუშაობაზეც. უფრო მეტიც, სოციალური ყოროზიის ელემენტები, რომლთა შესახებაც ილაპარაკა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, როგორღაც შეუმჩნევლად ძირს უთხრიდნენ მაღალ ზნეობრივ ღირებულებებს, ყოველთვის რომ ახასიათებს ჩვენს ხალხს. ისინი დაუბრკოლებლად ვრცელდებოდნენ სწორედ ადამიანების პოლიტიკური აქტიურობის შესუსტების, მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისა და მოვალეობების უგულებელყოფის, პროფკავშირულ ორგანიზაციათა როლის დაკნინების, მათი მუშაობის მეტისმეტი ორგანიზებულობისა და ფორმალიზმის გამო. ყოველივე ამის დაძლევა არცთუ ისე იოლი, აღვილია, მაგრამ სწორედ აქ უნდა გამოვავლინოთ მთლიანად პროფკავშირების პოტენციალი, რომელსაც უნარი შესწევთ დარაზმან მასების შემოქმედებითი ძალები.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა დამკვიდრდეს საქმიანი ვითარება, განვითარდეს ინიციატივა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, საჯაროობა და დემოკრატიზმი ყველა მისი გამოვლინებით. წარმატების საწინდარია ამ პრინციპების განუხრელი განხორციელება შეხამება პასუხისმგებლობისა და დისციპლინის გაძლიერებასთან, თითოეული მშრომელისა და ყველაზე მაღალი რანგის ხელმძღვანელისადმი თანაბარი მომთხოვნელობის უზრუნველყოფასთან, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე.

საჭიროა უნარიანად ვისარგებლოთ სიმართლის, გულახდილობისა და მომთხოვნელობის, თვითკრიტიკისა და რეალისტური თვითთანაღრიცხვის გაკვეთილებით. ბევრი რამ ხომ დამოკიდებულია იმაზე, რა თვალსაზრისით განვიხილავთ და შევაფასებთ მუშაობას. ვერ უარვყოფთ, რომ აქტიურდება მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოებისათვის მეცადინეობა, უფრო ქმედითი ხდება კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებისადმი, შრომის დისციპლინის დაცვისადმი კონტროლი. მაგრამ დღეს, იანვრის პლენუმის შემდეგ საკითხი უკვე ასე დგას: საჭიროა არა ძვრები, არამედ გარდაქმნის კონკრეტული შედეგები, პრინციპულად ახალი მიდგომა პროფკავშირების მუშაობაში, რომლებსაც ვ. ი. ლენინი უწოდებდა „კომპარტიიდან მასებისაკენ გადამცემ მექანიზმს“. ეი რატომ არის, რომ გარდაქმნა, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, ყველა წახნაგით ეხება პროფესიულ კავშირებს. და მათ წინაშე სვამს დემოკრატიზაციისა და თვითმმართველობის პროცესებზე აქტიური გავლენის ამოცანას.

ახალ პირობებში მუშაობის პირველმა წელმა გარკვეული დადებითი შედეგები მოგვიტანა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში, სოციალური სფეროს განვითარებაშიც. ამავე დროს ვერ დავძლიეთ ბევრი პრობლემა, ნაკლი, ხარვეზი. სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმებს თავი ვერ გაართვა 77 სამრეწველო საწარმომ, 115 საწარმომ ვერ შეასრულა რეალიზაციის გეგმები, ხოლო დაკლებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 136 მილიონი მანეთი. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიხედვით რესპუბლიკა ქვეყანაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ყოველმა მეოთხე საწარმომ მოუკლო შრომის ნაყოფიერების მიღწეულ დონეს. ამასთან, ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ზრუნვა პროფკავშირების ღვიძლი საქმეა, განსაკუთრებით საწარმოების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითმმართველობის სამეურნეო დამოუკიდებლობის განვითარების გათვალისწინებით.

ამ საკითხისადმი პროფკავშირთა ფორმალური მიდგომის ერთერთი დადასტურება გახდა სოციალისტური შეჯიბრება. მაგალითად, წლიური გეგმები ბევრ კოლექტივს დიდი დაგვიანებით გაეცნენ. დღემდე არ არის გახსნილი სამშენებლო ობიექტების დიდი უმრავლესობის დაფინანსება. ყოველთვის გასაგები როდია, რის საფუძველზე მუშავდებოდა სოციალისტური ვალდებულებანი. პროფკავშირული კომიტეტები, კი როგორც გარეშე მეთვალყურენი ყველაფერს სამეურნეო ხელმძღვანელობას აკისრებენ, თუმცა სწორედ აქ არის საჭირო ერთობლივი ძალისხმევა.

მასების ცოცხალი შემოქმედება — სწორედ ასეთია სოციალისტური შეჯიბრება — ვერ ჰგუობს უსულგულობასა და ფორმალიზმს, მეტისმეტ ორგანიზებულობასა და მოჩვენებითობას. ისინი ღუპავენ ნოვატორობასა და ძიებას, დედაზრს აცლიან პატრიოტული შემართების შემოქმედებითს არსს, ითქვა ყრილობაზე. შეჯიბრება ვერ ჩაღდება იქაც, სადაც ცუდად არის გამართული წარმოება, სადაც თვის, კვარტალის დასაწყისში უნაათოდ მუშაობენ, ბოლოს კი იერიშითა და ავრალით აღწევენ საწარმოო მაჩვენებლებს.

შეჯიბრების მტერია საგეგმო დავალებათა კორექტირება, ჯერ კიდევ არსებული წამატებები, თვალსაზვეკა, სახელმწიფო ანგარიშგებლობის დამახინჯება. ამასთან დაკავშირებით აღინიშნეს გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში არსებული ვითარება, სადაც ჩანს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური მოვლენა, და ამასთან სავსებით გამორიცხულია ყველაზე მთავარი, საქმისა და ადამიანებისათვის ნამდვილი ზრუნვა.

არადა, ჯერ კიდევ 1985 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ამ საწარმოს მდგომარეობისა და მისი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების დასახული გზები ჩაიძირა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის არაკომპეტენტურობისა და ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობის ჭაობში, გაერთიანების პროფკავშირული ორგანიზაციების კანცელარიულ „შემოქმედებაში“. გოიკაებს იწვევს, რომ გაერთიანებისა და მასში შემავალი ფაბრიკების პროფკავშირული კომიტეტების მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ვერ გაავრცელეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი წამოწყებანი და თაოსნობანი იმ საწარმოებშიც კი, სადაც ისინი იშვა. შრომითი მეტოქეობის გჰმარჯვებულთა მატერიალური წახალისებისათვის გამოყოფილი ასიათასობით მანეთი კი წლობით ვერ აღწევს მშრომელებამდე.

რესპუბლიკის საწარმოებში მეტად ნელა იქმნება შრომითი კოლექტივების საბჭოები და ცუდად გვარდება მათი მუშაობა. არსებითად ეს ხომ წარმოების მართვის ახალი დემოკრატიული ფორმაა. საკმარისად ვერ იყენებენ დიდნაყოფიერი შრომის სტიმულირების, კოლექტივიზმისა და თვითმმართველობის საფუძვლების განმტკიცებისათვის ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშსაც. რესპუბლიკაში დღემდე არ არის ახალი ტიპის ბრიგადების განვითარების, მათი მუშაობის ორგანიზაციის ზუსტი სისტემა. მრეწველობაში ამ ფორმამ მოიცვა მუშათა მხოლოდ 28 პროცენტი, რაც გაცილებით ნაკლებია საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. ბრიგადული სამეურნეო ანგარიში პრაქტიკულად ვერ განვითარდა ადგილობრივი და კვების მრეწველობის საწარმოებში. ეს ეხება აგრეთვე სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციებს, სადაც შრომის პროგრესული ფორმები ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩება. არ იგრძნობა ცვლილებები სოფლად. იქ იჯარით მომუშავეთა ხვედრითი წილი ამჟამად არ აღემატება 32 პროცენტს, ბევრ საბაზო მეურნეობაშიც კი ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია. ამით ბრკოლდება შრომის ორგანიზაციის, ადამიანების, პროფესიული ზრდის, მათი შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ბევრი დადებითი პროცესი. ძალზე ნელა იკვლევს გზას ოჯახური იჯარა.

გასული ხუთწლედის განმავლობაში რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა გამოყენების მეოხებით მიღებული ეკონომია გაიზარდა და 530 მილიონ მანეთს მიაღწია. ამავე დროს არ შეიძლება არ შეგაშფოთოს, იმ გარემოებამ, რომ რესპუბლიკაში თავი იჩინა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვისა და მათ მიერ გამოგზავნილი განაცხადებისა და წინადადებების რიცხვის შემცირების ტენდენციამ. ყოველ წელს დაუნერგავი რჩება შვიდი ათასზე მეტი მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება. ტექნიკური შემოქმედების მაჩვენებლები რესპუბლიკაში ჩამორჩება საშუალო საკავშიროს. მასში მონაწილეობს მუშათა სულ 30 პროცენტი, სუსტად არის მოცული ნოვატორული ძიებით ახალგაზრდობა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების კოლექტივებში შემოქმედებითი აქტიურობის განვითარების საქმეში, რათა შესრულდეს კომპლექსური პროგრამა „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა დაიწყონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული რესპუბლიკური მიზნობრივი პროგრამის „დისციპლინის“ განხორციელება. მეთეთრმეტე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით ერთიორად და მეტად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, რომლებიც გამოწვეული იყო მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე შრომის დისციპლინის დარღვევებით, მნიშვნელოვნად შემცირდა კადრების დენადობა. მაგრამ კვლავ მეტად მწვავედ დგას პრობლემა. პრაქტიკულად უკეთესობისაკენ არ შეცვლილა მდგომარეობა ამ უბანზე ადგილობრივ მრეწველობაში, საკავშირო დაქვემდებარების ბევრ დიდ საწარმოში, სახაგრომრეწვის ორგანიზაციებში.

დისციპლინა — ეს მარტო სამუშაოზე დროზე მოსვლა და წასვლა როდია. საუცხო შრომის, მმართველობის, შემოქმედებითი, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინა ის არის, როცა მუშაკი ცდილობს მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ნიჭი, იჩენს მაქსიმუმ ენერგიასა და დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობას.

შინ წესრიგს დაამყარებს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც მის პატრონად გრძნობს თავს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე გამოთქმული ეს აზრი განსაკუთრებით აქტუალურია იმის გამო, რომ ბევრი საწარმო და დარგი გადადის მეურნეობრიობის ახალ პირობებზე, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსებაზე. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა თვისებრივად ახალი დონე წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში, საქმის, კოლექტივის სოციალური საზრუნველის, ფინანსური ბერკეტების გამოყენებისადმი დამოკიდებულებაში.

დემოკრატიზმის გაღრმავება ცალმხრივი პროცესი როდია. შესაბამისად პროფკავშირთა საქმიანობაც არ განისაზღვრება მხოლოდ დამცავი ფუნქციებით. იდგე შშრომელი ადამიანების ინტერესების სადარაჯოზე, ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იცავდე სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ საწარმოში მომთხოვნელობის შემცირებამ გამოიწვია მოშვებულობა, მოდუნება, უდისციპლინობა, კადრების უპასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის ბევრ უბანზე, რამაც უწინარეს ყოვლისა გავლენა მოახდინა პროდუქციის ხარისხზე. ამავე დროს, ბევრი საწარმოს პროფკომები და სამეურნეო ხელმძღვანელები ყოველივე ამისადმი დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ, რაც სოციალური სხვადასხვა მოიმედოობის ტოლია, იმაში, რომ, მაგალითად, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“ და მთელ რიგ სხვა საწარმოებში უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით, ბრალი მიუძღვით არა მარტო პარტიულ ორგანიზაციებს, სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, არამედ პროფკავშირულ კომიტეტებსაც.

ამჟამად რესპუბლიკის 21 საწარმოში შემოღებულია პროდუქციის სახელმწიფოო მიღება. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ერთდროული კამპანია კი არა, საერთო სახელმწიფო დონეზე პროდუქციის ხარისხის მართვის გრძელვადიანი პროგრამაა. და თუ ზოგიერთ საწარმოში სახელმწიფო მიღება რთულად და არაერთმნიშვნელოვნად მიმდინარეობს, თუ მცირდება ხელფასი, ამაში ვერავის დაადანაშაულებენ. უნდა დაიცვან არსებული სტანდარტები, ნორმები და წესები. სხვათა შორის, სახელმწიფო მიღების პირობებით საკმაოდ კარგად და უხვად ხალისდება დიდნაყოფიერი და მაღალხარისხოვანი შრომა.

პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაებან ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიც არის მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობის დროული გამოვლენა და შეცვლა, წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ყველგან დანერგვა, მისი ნორმირების სრულყოფა, სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია, ერთი სიტყვით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშ

პასუხსაგები გადაწყვეტილებებისა და აქტიური მოქმედების დრო

(დასასრული)

ზე. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დროა შეიგნონ, რომ ასეთი გადაყვანა მიზნად ისახავს არა მარტო იმას, რომ გაზარდოს არსებული საწარმოო პოტენციალის უკუგება, არამედ იმასაც, რომ ლენინგრადელთა გამოცდილებით გამოათავისუფლოს საწარმოო ფართობები რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის ახალი შენებლობის ნაცვლად. გამოთავისუფლებული სახსრები კი შეიძლება მოხმარდეს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამეცნო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენებლობასა და ა. შ.

პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაებან ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიც არის საწარმოების მუშაობის, სკოლამდელ ბავშვთა და სამედიცინო დაწესებულებების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაციების ფუნქციონირების გრაფიკთან შეთანხმება, რომლებიც აგრეთვე უნდა დავაინტერესოთ ღამისა და საღამოს სათებში მუშაობით, საკითხს მივუდგეთ დაკვირვებით, თავიდან ავიცილოთ ლატონი მოწოდებანი და ადმინისტრირება.

დღეს მშრომელთა გაზრდილი უფლებები და უფლებამოსილებანი განმტკიცებულია კანონით შრომითი კოლექტივების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო-სანალოო განხილვისათვის გამოტანოს სახელმწიფო საწარმოს შესახებ ახალი კანონის პროექტი. იგი მოწოდებულია ძირეულად შეცვალოს მეურნეობრიობის პირობები და მეთოდები, დაამკვიდროს სრული სამეურნეო ანგარიშთან საკეგმო საწყისების შერწყმა, გაზარდოს კოლექტივების დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა, დააკანონოს თვითმმართველობის ახალი ფორმები.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ნავარაუდევია შემოღებულ იქნეს საწარმოების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმებისა და რგოლების ხელმძღვანელების, ბრიგადებისა და ოსტატების არჩევითობა. რადგან კოლექტივების კეთილდღეობა დამოკიდებულია ხელმძღვანელის უნარზე — უზრუნველყოს მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგები, მშრომელებს უნდა ჰქონდეთ მათს არჩევაზე ზემოქმედების, მათი საქმიანობის გაკონტროლების რეალური შესაძლებლობანი. ამით, აღინიშნეს ორატორებმა, არსებითად გაიზრდება პროფკავშირების, როგორც მშრომელთა წარმომადგენელის როლი, კადრების შერჩევასა და განაწილებაში, ხელმძღვანელ სამუშაოზე ნიჭიერი ადამიანების, განსაკუთრებით უპარტიოების გამოძებნასა და დაწინაურებაში. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ასეთი ხელმძღვანელების შემოქმედებითი, პროფესიული და სოციალური ზრდა.

სოციალური სამართლიანობის ანგარიშით

ძალების გამოყენების დარგი, სადაც პროფკავშირებს უფიდან განეკუთვნებოდათ და განეკუთვნებათ წამყვანი ადგილი, რომელსაც ახლა პარტია უაღრესად დიდ და დაინტერესებულ ყურადღებას უთმობს, არის მოქალაქეთა სოციალური ინტერესების სფერო, ვინაიდან გარდამნის წარმატებას მთლიანად წყვეტენ ადამიანები.

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების სასარგებლოდ სახსრების გადანაწილების მეთხებით მიმდინარე წელს რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური შენებლობის გაფართოებას, სახალხო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაჩქარებულ განვითარებას დამატებით გამოეყო კაპიტალური დაბანდებანი 14 მილიონი. მანეთის ოდენობით. გასულ ხუთწლეულში კი მთლიანად მშრომელთა სოციალური საჭიროებებისათვის დაიხარჯა 4 მილიარდ მანეთზე მეტი, მათ შორის თითქმის მესამედი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, ამ მიზნებს მოხმარდა ასიგნებანი პროფკავშირების ბიუჯეტიდანაც, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლეულში ორმაგი პროცენტით და მეტად გაიზარდა.

მაგრამ ადგილებზე სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, შრომითი წელილის მიხედვით დოვლათის განაწილების პრინციპის თანამიმდევრული განხორციელების მეთხებით პროფკავშირებმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ. ამ სფეროში ხომ სწორედ დარღვევები გახდა, აღინიშნეს ორატორებმა, ზნეობრივ თვითშეგნებაში სერიოზული დეფორმაციების ერთ-ერთი მიზეზი, გამოიწვია საზოგადოებრივ საქმეებისადმი ადამიანების ერთი ნაწილის ინტერესების დაქვეითება, სულიერი სიმწირისა და სკეპტიციზმის გამოვლინებანი, ყველა სოციალური ორიენტირი მატერიალური კეთილდღეობით, მომხმარებლობითა და ჯიბის გასქელების სურვილით განისაზღვრებოდა. ამაში ბრალი მიუძღვით პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებსაც, მაგრამ ბევრ რამეში ყოველივე ეს პროფკავშირული ორგანიზაციების სინდისზეაა, რომლებსაც არ ჰყოფნით სიმტკიცე, შეტევითობა. მათს მუშაობაში სჭარბობს მისწრაფება თავი აარიდონ კონფლიქტებს

სხვა ორგანოებთან, ყოველივე ეს კი საბოლოო ანგარიშით ხდება მშრომელთა ინტერესების ხარჯზე.

ყრილობაზე სამართლიანად დაისვა ასეთი კითხვები. რატომ ხდება, რომ მსუბუქ მრეწველობაში, სადაც ჭარბობს ქალების შრომა, კვლავ მწვავე პრობლემაა მათი შრომისა და ჯანმრთელობის დაცვა? რითი შეუძლიათ გაამართლონ დარგის პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა, რომ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალაში“, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“, ბავშვის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, ფოთის სამკერვალო ფაბრიკაში, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ ფილიალებში არ არის სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო შენობები, სხვა ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები? ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია წარმოებაში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში, მაშინ როცა ეს ოჯახის ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სწორედ აქ იგზავნება, ძირითადად, ხორცი სახელმწიფო რესურსებიდან. ყველაზე არასრული განაგარიშებით, მუშათა სასადილოებში ადგილების დეფიციტი თითქმის 25 ათასს აღწევს, ბევრ საწარმოში კი ისინი საერთოდ არ არის ორგანიზებული, დღის ცვლაშიც კი ცხელი კერძები მოუმუშავეთა ნახევარიც კი ვერ კმაყოფილდება, უარესი მდგომარეობაა საღამოსა და ღამის ცვლებში. პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“. ღამის ცვლაში აქ გათვალისწინებულია უფასო ცხელი კერძები, ტალონებსაც კი იძლევიან. მაგრამ რა სარგებლობა მოაქვს ამას, თუ ღამით არც ერთი სასადილო არ მუშაობს.

სერიოზული ნაკლოვანებანი საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და საბედიცენო მომსახურების ორგანიზაციაში გამოავლინა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს თბილისის № 1, 2, 3, 4 და 5 სახლთსაშენებელ კომბინატებში. არც ერთ მათგანში არ არის შესაკეთებლად ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მიღების, თეთრეულის, სპეცტანსაცმლის რეცხვის კომპლექსური პუნქტები. არა აქვთ საპარიკმახეროები და ნახევარფაბრიკატების მაღაზიები, ქალთა ჰიგიენის ოთახები. საშხაპეები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნორმატივით არის გათვალისწინებული, არ ჰყოფნით ან საერთოდ არა აქვთ გასახდელები, მეორე ცვლაში მომუშავეები უზრუნველყოფილი არ არიან საგიდიკინო მომსახურებით. ყველა სასადილოში გამეფებულია ანტისანიტარია, ჭურჭელი ცუდად ირეცხება, არ მუშაობენ ელექტროსაშრობები, მოგვარებული არ არის ნორმალური ვენტილაცია. რესპუბლიკის მუშათა კვების სფეროში არის კერძების დამზადების რეცეპტურის დარღვევები, მყიდველთა წონასა და ანგარიშში მოტყუების მრავალი ფაქტი.

კვლავ ძალზე ცუდად არის საშეფიცინო-სანიტარიული ნაწილებისა და სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საქმე, რომლებიც რესპუბლიკაში ძალზე ცოტაა. მოუხერხებელი, მოძველებული სამედიცინო მოწყობილობით აღჭურვილი ეს დაწესებულებები, სადაც დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობენ, არცთუ ისე ბევრ მსურველს იზიდავენ.

და ამ სიტუაციაში არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს იმან, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები სრულიადაც არ არიან დაინტერესებული გამჯანსაღებელი მუშაობის ამ ფორმების განვითარებით. ყველაზე საგულისხმო მაგალითია ინერტულობა, რომელსაც იჩენენ თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად კონფისკაცია უყვეს მინის ტარის საამქროს ყოფილი უფროსის ბიბილეიშვილის უზარმაზარ ორსართულიან სახლს, რომელიც მან სახელმწიფოსათვის მოპარული ფულით აიშენა. 1984 წლის სექტემბერში სახლი ბალანსზე გადაეცა საწარმოს დამტაცებლის მიერ მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების ანგარიშში. გადაწყდა ამ სახლში მოეწყოთ სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი. მაგრამ აქამდე იგი არ გაუხსნიათ. სახლში კვლავ ცხოვრობს ბიბილეიშვილის ქალიშვილი თავისი ოჯახით, თუმცა შესაბამისი ბინა მას დიდი ხანია გამოუყვეს. სახელმწიფოსა და მშრომელებისათვის მოპარული არ დაბრუნებიათ მათ აქამდე იმიტომ, რომ ქარხნის არც დირექცია, არც პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები, არც პროფკომი, არც პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტი არ ცდილან რაიმე ეღონათ სამართლიანობის აღდგენისათვის.

ყოველწლიურად 70 სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პანსიონატში, 104 ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებაში შვებულებას ატარებს 500 ათასზე მეტი დამსვენებელი, 2 მილიონ 300 ათასი ტურისტი და 15 მილიონი ექსკურსანტი. მაგრამ როგორ ნაწილდება ამ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, საზღვარგარეთის ქვეყნებში სამოგზაურო საგზურები? ხშირად ამ საგზურებით სარგებლობენ ერთი და იგივე ადამიანები, ზოგიერთი ხელმძღვანელის ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები, მეგობრები და ნაცნობები. შარშან პროფკავშირული საგზურებით სოციალისტურ ქვეყნებში გაგზავრებული 14 ათასი ტურისტიდან მუშებმა და კოლმეურნეებმა შეადგინეს მხოლოდ ნახევარზე ნაკლები.

ძალზე ცოტა მუშა და კოლმეურნე იყო კაპიტალისტურ ქვეყნებსა და კუბაზე. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ეგრეთ წოდებულ პრესტიჟულ მოგზაურობაში, რომელიც საკმაოდ ძვირი ჯდება, გზგნიან უპირატესად არა წარმოების მოწინავეებს, რომლებსაც, როგორც წესი, დიდი ხელფასი აქვთ, არამედ ხშირად დიასახლისებს და იმათ, ვისი ხელფასიც არანაირად არ შეესაბამება ასეთ ხარჯებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ უკვე საქმე გვაქვს უშრომელ შემოსავალთან. დანაშნულების ადგილს ვერ აღწევენ ყოველთვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების საგზურებიც. ზოგიერთი მუშა, რომლებსაც მკურნალობა ესაჭიროებათ, წლების განმავლობაში ვერ ეღირსა მათ.

პროფკავშირები მტკიცედ უნდა იდგნენ მშრომელთა კანონიერი ინტერესების სადარაჯოზე, მეტ ზრუნვას იჩენდნენ მათთვის. განსაკუთრებით ეხება ეს ბინების განაწილებას. ეს ძალზე მტკივნეული საკითხია. და ხელმძღვანელ ორგანოებში მშრომელთა მეტი წილი საჩივრები და მომართვები ასე თუ ისე დაკავშირებულია მასთან.

ბევრ საწარმოში, მაგალითად, ცხინვალის ავტობუსების სარემონტო ქარხანაში, თბილისის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხანაში, საგარეჯოს სამაკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანაში წლობით ჭიანურდება მუშაკების ბინის აღრიცხვაზე აყვანის განცხადებების განხილვა. ამავე დროს, ცალკეული პირების მიმართ გაუგებარ კეთილგანწყობას იჩენენ. მაგალითად, შარშან თერჯოლის ღვინის კომბინატის ერთ-ერთ მუშაკს ჩაწერის მეორე დღეს ოროთახიანი ბინა გამოუყვეს.

სარგებლობენ რა ზოგიერთი მრეწველობა კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უკონტროლობით, ზოგჯერ კი აშკარა ზეწოლით, ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები თვითნებურად ანაწილებენ ბინებს, ანგარიშს არ უწევენ შრომითი კოლექტივების აზრს, უხეშად აღრევენ კანონმდებლობას, ზოგჯერ კი სხვადასხვა მაქინაციებსაც მიმართავენ.

ზნობრივ, თანამდებობრივი ბოროტმოქმედების ფაქტების გარჩევის, თაღლითების, საქმოსნებისა და გაიძვერების საქმიანობის გამოძიებისას აღმოჩენილია, რომ ისინი ყველანი ადვილად იღებდნენ შესანიშნავ ბინებს, მათ შორის თბილისში, სადაც აღრიცხვაზეა დაახლოებით 50 ათასი ოჯახი. ასე მოიქცა საკმაოდ ცნობილი სიჩინავა, ვაჭრობის საქალაქო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, რომელიც გაასამართლეს მექრთამეობისათვის. ასე მოხდა ჩხეიძესთან დაკავშირებით, რომელმაც თბილისში გადმოსელისას ადვილად მიიღო არა მარტო ბინა, არამედ დოკუმენტის ადგილიც სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც გამოიყენა ანგარებიანი მიზნებით და ამბიტურენტებს ფულს სძალავდა.

რით შეიძლება აიხსნას, თუ არა უპრინციპობით, უპატიოსნო ადამიანების ხელშეწყობით, ითქვა ყრილობაზე, ის, რომ ლენინგორის რაიონის ზაქორის მეჯიოვლეობის საბჭოთა მეურნეობაში ბინების განაწილების კომისიის თავმჯდომარედ დირექტორის ბრძანებით დაინიშნა ვინმე კუდუხოვი, რომელიც ნასამართლევი იყო თანამდებობრივი დანაშაულისთვის? უკანონოდ ანაწილებდა რა ბინებს, მან აიღო ქრთამი 8500 მანეთის ოდენობით. ორგანიზაციები კი, რომლებიც მოწოდებული არიან აკონტროლებდნენ ამ საკითხებს, ფაქტობრივად მის ნებას დაჰყვნენ.

ჯერ კიდევ 1984 წელს ბათუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი აპარის სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტროს თანამშრომლებისათვის. სპბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გუმაჯობესების შესახებ განცხადებანი არც ერთხელ არ განუხილავთ არც ადმინისტრაციას, არც სპბინაოსაყოფაცხოვრებო კომისიას, არც ადმინისტრაციისა და პროფკავშრული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომას. სრულიად არ უფიდნენ სათანადო კონტროლს ყოველივე ამას საქალაქო აღმასკომი, სხვა ადგილობრივი ხელისუფალნი. ამის შედეგად, აქამდე ჭიანურდება ბინების განაწილება, სახლი ცარიელია ქალაქში, სადაც 10 ათასი ადამიანი მრავალი წელი ელოდება თავის რიგს!

ორატორებმა შეშფოთებით ილაპარაკეს იმაზე, რომ შარშან, ისევე როგორც გასულ ხუთწლეულში, საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი კვლავ აუთვისებელია, მაშინ როცა თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ნიადაგ იზრდება ბინების მიღების მსურველთა რიგი. მხოლოდ კარდინალური გარდაქმნა შეგვაძლებინებს გადავწყვეტოთ რესპუბლიკაში პარტიის მიერ დასახული ამოცანა, რომ ორი ათასი წლისათვის ბინით დავაკმაყოფილოთ ყოველი ოჯახი.

ყრილობაზე წამოიჭრა კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს — ხელფასის დროული გაცემა. აღმოუჩენია არ არის მისი დაგვიანებები გაცემის შემთხვევები, ამასთან, ჩვეულებრივ ისეთი კატეგორიის მუშაკებისათვის, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ იგი. ზოგიერთ ამხანაგს ავიწყდება, რომ პატიოსანი კაცი მთელ თვის გასაჯავლ ხელფასისიდან ხელფასამდე ანაწილებს და უამისოდ უბრალოდ ვერ იარსებებს.

უეჭველია სხვა რამეც. ხელფასი უნდა გამოიმუშაო. პროფკავშირებმა უნდა იღვაწონ, რათა დაინერგოს მატერიალური სტიმულირების ისეთი სისტემა, რომელიც დარტყმას აყენებს უსაქმურებს, გამცდენებსა და წუნისმკეთებლებს. ამითაც ვლინდება სოციალური სამართლიანობის პრინციპი, რადგან აბსტრაქტული, ცალმხრივ დემოკრატია შეუძლებელია.

რესპუბლიკაში შრომის დისციპლინასთან დაკავშირებით ჯერ ყველაფერი კარგად რიდის. პროფკავშირული ორგანიზაციები არ იჩენენ საკმარის მომთხოვნელობასა და სიმტკიცეს. მარტო შარშან ცხრა თვის შედეგების მიხედვით, გაცდენების, მთელდღიანი და ცვლისშიგა მოცდენებისა და ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის სამუშაოზე ყოველდღიურად სამუშაოზე არ გამოდიოდა ასობით მუშა, დაიკარგა 30 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა. არც თუ მცირე დანაკარგებია დაკავშირებულ კადრების დიდ დენდოდობასთანაც. მიუხედავად ამისა, მრავალი პროფკავშირული კომიტეტის ორნინაძეების ფორმალური, კამპანიური ხასიათისაა. ეს განსაკუთრებით ეხება საავტომობილო, სატრანსპორტო და სამაფორო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტების. სამწუხაროდ, ზოგჯერ მტკიცე პოზიცია არ უკავია შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ საქართველოს პროფსაბჭოს სამართლებრივ ინსპექციასაც, რომელსაც დიდი უფლებამოსილებანი აქვს.

რესპუბლიკაში მდგომ მწვავე სოციალურ პრობლემებს შორის ყრილობაზე შეეხნენ შრომითი რესურსების სრული და რაციონალური გამოყენების საკითხს. აქამდე საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული არ არის 55 ათასი კაცი, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვთ. საქართველოს მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად კიდევ უფრო ყურადღებით უნდა შეისწავლონ ეს საკითხი, წარმოიდგინონ პროფესიების მიხედვით დაუსაქმებელ სპეციალისტთა სრული სურათი, რათა შეიმუშაონ მათი გამოყენების ან ხელახალი კვალიფიკაციის კონსტრუქციული წინადადებანი. დიდი, გულმოდგინე მუშაობა გველის, მაგრამ იგი არ უნდა გადავდოთ, ვინაიდან მას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული სოციალური შედეგები.

დემოკრატიზაციის პროცესს უკიდურესად თან უნდა სდევდეს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, კანონიერებისა და მართლწესრიგის გამმტკიცება, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. თუ საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის, სხვა სამეხსიერო ბიზნესი და უწყებების საწარმოებში ფეხმკიდებულია გამომძალველობა და მექრთამეობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება — ეს მოწმობს პროფკავშირული ორგანოების სუსტ მუშაობასაც.

მარტო შარშან რესპუბლიკაში აღიძრა რამდენიმე ათასი სისხლის სამართლის საქმე ანგარებიან დანაშაულობათა გამო. ჩადენილ დანაშაულობათა უმრავლესობა სოციალისტური საკუთრ ბ ი ს დატაცებაა. ერთ-ერთ მიზეზად დელეგატებმა დაასახელეს ის ფაქტი, რომ ბევრი შრომითი კოლექტივი განუდგა სახალხო დოვლათის დამტაცებლების, საქმოსნების, და კომბინატორების წინააღმდეგ ბრძოლას, არ ჰყოფნით დარაზმულობა, შეკავშირება. ბევრი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაცია ურიგდება ასეთ მდგომარეობას, ვერ ბედავს აღკვეთოს მაქინატორთა ურთიერთთავდებობა.

ამას მოწმობს ყრილობაზე მოყვანილი მაგალითი: თბილისის საიუველირო ქარხნის ექსპერიმენტულ ნაკეთობათა დამზადებისა და სამხატვრო-სახალხო რეწვის სოხუმის უბნის უფროსის ფიფასაა და სხვა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ დატაცებული 200 ათასი მანეთიდან თითქოს 150 ათასი მიეცათ მუშებს ხელფასისა და პრემიების სახით. შრომითი კოლექტივი კი ჩადენილი სამაგალითოს უტაცვი მოწმის როლში აღმოჩნდა.

ფორმალიზმი ადამიანებთან მუშაობაში, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების პასიურობა დაბალი დონის მიზეზია. მუშა-მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა 70 პროცენტზე მეტს არ განიხილავენ შრომითის კოლექტივებში. უფროდღეგოდ რჩება სოციალისტური საკუთრების დიდი დატაცების ფაქტებიც კი, როგორიც იყო მაგალითად, თბილისის ქიმმშენდისა და თეთრეულის რეცხვის საწარმოო გაერთიანება „თოლიაში“, ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“ და სხვ.

ფართოდ გავრცელდა ეგრეთ წოდებული წვრილმანი დატაცებანი. მარტო შარშან დაიკავეს რამდენიმე ათასი ხელმძღვდი. ამ სენით მძიმედ არის დაავადებული თბილისის საწარმოო გაერთიანებები „თბილისთამბაქო“, „თბილისხორცი“, „თბილისკონდიტერი“, საპარფიუმერიო ფაბრიკა „ივერია“, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, ტყავფეხსაცმლის კომბინატი, სოხუმის ქიმიური ქარხანა, ბათუმის სამკერვალო და ჩაის საწონი ფაბრიკები, სხვა დარგების საწარმოები.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, განაცხადეს ყრილობაზე, რომ პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული შრომითი კოლექტივების მიერ კანონით მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილებათა გამოყენება. წვრილმანი დარღვევები, რომლებიც ფართო მეგრეიე ნაკადად გადაიქცევა, საგრძნობლად ლახავენ მოქალაქეთა ინტერესებს. გამოანგარიშებულია, რომ ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონი მანეთი, ანუ მომსახურებისათვის რესპუბლიკის მოსახლეობის მეელი ხარჯების დაახლოებით მესამედი კერძო პირების ჯიბეში გადადის. 150 მილიონ მანეთზე მეტს იღებენ ისინი სახლების მშენებლობისა და ბინების რემონტისათვის.

სამართლიანად ისმის საკითხი იმის შესახებაც, რომ ახლა, როცა ხორცელდება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებანი, სერიოზულად უნდა მოვიფიქროთ, პროფკავშირთა მიერ იმ პირების მართვის ფორმები, რომლებიც ასეთ საქმიანობას ეწევიან. პროფკავშირში გაერთიანება შესაძლებელს გახდის დემოკრატიულ საფუძველზე ყველა ამ პროცესის რეგულირებას, შესაძლო გადახრებისა და დარღვევების, მაქინაციებისა და უშრომელი შემოსავლის აღკვეთას.

ზოგჯერ უშრომელ შემოსავალში აქვს ფესვები გდგმული ისეთ საშიშ და მახინჯ სოციალურ მოვლენებს, როგორიც არის ლოთობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია. მათზე პროფილაქტიკური ზემოქმედების გაძლიერების მნიშვნელოვანი რეზერვია შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, სხვა პირველად ორგანიზაციებში მუშაობის ძირეული გაუმჯობესება. ამავე დროს უმეტეს შემთხვევაში რესპუბლიკის ბევრ საწარმოში შექმნილი ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ და ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ საქმის ვითარებაზე. სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოწონავე საწარმოების ბევრი მუშაც კი ხვდება. მაგრამ, რაც განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, აქ შეიძლება შეხვედეთ სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკებსაც. შინაგან საქმეთა ორგანოების მონაცემებით მარტო 1986 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში გამოვლინდა 17 ათასზე მეტი მძღოლი, რომლებიც საჭეს მთვრალი მართავდნენ, მათ შორის ყოველი მეოთხე პროფესიონალია. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაღუპა დაახლოებით 700 და დასახიჩრდა სამი ათასზე მეტი კაცი. ამავე დროს, ბევრი შემთხვევა სიმთვრალის ნიადაგზე მოხდა. უფრო მეტიც, გამოვლინდა ორი აღმაშფოთებელი ფაქტი, როცა თბილისის № 3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი და დუშეთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი რაზმაძე მთვრალები მართავდნენ სამგზავრო ავტობუსებს.

ძნელი, შეუძლებელია წესრიგის დამყარება, თუ ვინმე ახერხებს შექმნას მისი მოჩვენებითობა, მისი მულაჟი — მოისყიდოს გამომძიებელი, მოსამართლე, პროკურორი, თუ გამომძალველი ან თანამდებობის პირი აღმოჩნდება კანონის მაღლა.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ა. ურთიელიძემ, სხვათა შორის პროფკომის თავმჯდომარემ, ორი წლის წინათ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე სამართლიანად გააკრიტიკა ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლების დონე. ფაკულტეტის დეკანმა ე. ხაბალაშვილმა, რომელმაც წაუნა ჩაიდო გულში, ისარგებლა ავტოსატრანსპორტო შემთხვევით, როცა ურთიელიძემ ბავშვების გადარჩენის მიზნით დაარღვია ქუჩის მოძრაობის წესები, საავარიო დარტყმა თავად მიიღო. ხაბალაშვილმა იშოვა ფიქციური ცნობა, თითქოს მისი მწყობრნებელი მანქანას მთვრალი მართავდა, და მაღლობის ნაცვლად ურთმელიძე გაათავისუფლეს პროფკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, გამოუცხადეს პარტიული საყვედური და დაითხოვეს ინსტიტუტიდან.

ურთმელიძეს დიდი ძალ-ღონის დაძაბვა არ დასჭირვებია თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. არსებობს შესაბამისი დადგენილებები და ბრძანებები მისი ყველა უფლების აღდგენის შესახებ. მაგრამ ინსტიტუტის რექტორი კაბისოვი უარს ამბობს აღიაროს მათი სამართლიანობა.

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტი არც თუ ცოტაა. ისინი უნდა აღმოვაფხვრათ უკომპრომისო ბრძოლით ყველამ და ყველა დონეზე.

ფართოა პროფკავშირების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სპექტრი. მათ ყოველდღიურ მოვალეობებში შედის ყველაფერი — დაწყებული წარმოების განვითარებით, ტექნოლოგიის პრობლემებით და დამთავრებული საწარმოო შენობებისა და საცხოვრებელი სახლების გათბობის პრობლემით. მათ გადასაწყვეტად, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, ცხადია საჭიროა შრომითის კოლექტივებზე ნიადაგ დაყრდნობა, მასებთან ორგანული კავშირი, პროფკავშირული ცხოვრების ყოველმხრივი დემოკრატიზაცია, რომელიც შინაგანად ახასიათებს თავის არსით შრომელთა ამ მასობრივ ორგანიზაციას.

გარდაქმნა სიმწიფის გამოცდაა

ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს პროფკავშირული ორგანიზაციებისა და კომიტეტების მუშაობის სტილის სრულყოფას, სადაც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ფორმალიზმი და ქაღალდთმთხზველობა. ეს აშორებს მათ მშრომელებს, ყოველგვარი კარჩაკეტილობა და განკერძოება კი პროფკავშირულ მუშაობაში ნიშნავს დაკარგო მთავარი ფუნქცია — ყველგან და ყველაფერში იცავდე მშრომელი ადამიანების ინტერესებს. ასეთი პროფკავშირული ორგანოები კარგავენ არა მარტო თავიანთ სახეს, არამედ თავიანთ დანიშნულებასაც.

დარგობრივი პროფკავშირის ყველა კომიტეტმა როდი დაიწყო აქტიურად გარდაქმნა, ყველას როდი ესმის სწორად მისი შინაარსი და არსი, რომელიც უწინარეს ყოვლისა, არის მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის გადიდება, საზოგადოების საქმეებით მათი დაინტერესება, სამსახურებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება. ეს ცხადყვეს ყრილობის წინ გამართულმა დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურმა კონფერენციებმაც.

თვალსაჩინო მაგალითია საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატაქეცელების მუშათა პროფკავშირის კონფერენცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა, მაგალითად, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საქმიანობა, არადამაკმაყოფილებლად შეაფასა დარგის მუშობა, მასში ფეხმკიდებული ნეგატიური მოვლენები. მაგრამ კონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში არ იყო სათანადოდ გაკრიტიკებული ეს ნაკლოვანებანი, არ იყო გამოთქმული კონსტრუქციული წინადადებანი მათი აღმოფხვრის შესახებ.

ვერ შეძლეს უწყებრივი მიდგომა დაეძლიათ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშების პროფკავშირის რესპუბლიკურ კონფერენციაზე და ამ კავშირის პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. აღნიშნული დარგების ბევრ საწარმოში გამოვლინდა დაბაცების, წამატებისა და თვალის აბვევის, სახალხო დოვლათის განივების ფაქტები. უპატიოსნო პირები, მათ შორის პროფკავშირის საჩხერისა და ყვარლის რაიკომების თავმჯდომარეები მეცხოვრეშვილი და დათუაშვილი გარიცხეს პარტიიდან და მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საჭირო გახდა მთლიანად დაეშალათ საჩხერის რაიონული სამრეწველო კომბინატის პროფკავშირული ბიურო. ბიუროს ცხრა წევრიდან ოთხი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხუთი დაემშვიდობა პარტიულ ბილეთებს. ამავე დროს, ამ პროფკავშირული ბიუროს, ისე როგორც ამ პროფკავშირის ყველა სხვა არჩევითი ორგანოს მუშაობა ერთხმად შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

პროფკავშირული ორგანიზაციების უმრავლესობის მუშაობის სტილში არსებული ერთ-ერთი მთავარი ნაკლია ის, რომ ისინი თავიდან იცლებენ პრობლემებს, ფორმალურ რეაგირებას აწდენენ ბევრ აქტუალურ და მწვავე საკითხზე. ამაში ბრალი მიუძღვით პარტიულ ორგანოებსაც, რომლებიც ამა თუ იმ საკითხის შესწავლის დროს მომთხოვნელობით არ ეკიდებიან პროფკავშირული ორგანიზაციების როლს. მათ თითქოს უნებლიეთ ტოვებენ კრიტიკის ზონის გარეშე.

მაგალითად, ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა კაპიტალურ მშენებლობაში წამატ

ვერა (ვერიკო) ივლიანეს ასული ანჯაფარიძე

საბჭოთა თეატრალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 89 წლისა გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვერა (ვერიკო) ივლიანეს ასული ანჯაფარიძე.

წვიდა ჩვენგან დიდი მსახიობი, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უფროსი დამფუძნებელი, რომელმაც უდიდესი დვაწლი დასდო სოციალისტური კულტურის განვითარებას.

ვ. ი. ანჯაფარიძის შემოქმედება ჭეშმარიტად უკავშირდებოდა მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის ტრადიციებს. მის ხელოვნებას ახასიათებდა მოქალაქეობრივი მგზნებარება, ეშეშმარიტი ხალხური თავისთავადობა, ნოვატორობა, საუცხოო საშემსრულებლო ოსტატობა. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მრავალი დადგმა. ამ კოლექტივში მუშაობის სამოცი წლის მანძილზე ვ. ი. ანჯაფარიძემ შექმნა მაღალმხატვრული სახეები ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“, ა. ოსტროვსკის „უმზითვოში“, უ. შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრაში“ და მრავალ სხვა სპექტაკლში, რომლებიც სამართლიანად შევიდა საცენური ხელოვნების ოქროს ფონდში.

ვ. ი. ანჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა საბჭოური კინემატოგრაფიის განვითარებაში. მისი მონაწილეობით გადაღებული კინოფილმები „გიორგი საააკაძე,“ „შეხვედრა წარსულთან“, „ოთარაანთ ქვრივი“ სხვადასხვა თაობის მილიონობით მაყურებლის ხსოვნაში დარჩა.

ვ. ი. ანჯაფარიძე მუდამ დაუცხრომელი იყო შემოქმედებითს ძიებებში, უაღრესად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. იგი ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდა თაობის - ბედს, გულუხვად უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ვ. ი. ანჯაფარიძის დამსახურება, მიანიჭეს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენებით, შრომის წითელი დროშის ორდენებით.

შესანიშნავი მსახიობის, თვალსაჩინო თეატრალური მოღვაწის ვერა იულიანეს ასულ ანჯაფარიძის ხსოვნა მარად დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

„ვაი რომ, იმ ასაკისა ვარ, როდესაც ყოველ დღეს შეიძლება დამიდგეს ამ ფუთისოფლიდან განშორების ფუთი. როგორ არ მინდა ფასვლა იმ დროს, როდესაც მკვეთრად იცვლება ქვეყნის ცხოვრება. ერთი რამ მანუგეშებს: მე მოვესწარი ამ დღეს. და ახლა გაჰიადგილდება სიცოცხლესთან განშორება, რადგან დარწმუნებული ვარ: ჩვენი შვილები და შვილიშვილები სამართლიანი, პატიოსანი, გულდაჯერებული, ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრებენ“.

ვერიკო ანჯაფარიძის
ერთ-ერთი ბოლო წერილიდან.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ, Ჯ. Ა. ᲐᲚᲘᲔᲕᲘ, Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ, Ი. Კ. ᲚᲘᲒᲐᲩᲝᲕᲘ, Ნ. Ი. ᲠᲘᲫᲙᲝᲕᲘ, Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, Პ. Ნ. ᲓᲔᲛᲘᲩᲝᲕᲘ, Ა. Ნ. ᲘᲐᲙᲝᲑᲚᲔᲕᲘ, Ჯ. Ი. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Პ. Გ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ო. Ე. ᲩᲔᲠᲙᲔᲖᲘᲐ, Ი. Პ. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ, Ი. Ა. ᲡᲙᲚᲘᲐᲠᲝᲕᲘ, Ა. Ნ. ᲐᲥᲡᲘᲝᲜᲝᲕᲘ, Ვ. Გ. ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘ, Ა. Ი. ᲙᲐᲛᲨᲐᲚᲝᲕᲘ, Ვ. Ი. ᲛᲘᲠᲝᲜᲔᲜᲙᲝ, Ი. Კ. ᲐᲠᲮᲘᲞᲝᲕᲐ, Ვ. Რ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ, Ა. Ა. ᲒᲔᲚᲘᲐᲕᲘ, Ი. Კ. ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲐ, Ე. Ნ. ᲑᲝᲒᲝᲚᲔᲕᲐ, Ი. Ო. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ, Გ. Ნ. ᲔᲜᲣᲫᲘᲫᲔ, Ო. Ნ. ᲔᲗᲔᲠᲘᲐ, Ე. Გ. ᲖᲐᲘᲪᲔᲕᲘ, Მ. Ი. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. Ვ. ᲙᲐᲠᲐᲮᲝᲕᲘ, Ე. Გ. ᲙᲚᲘᲛᲘᲨᲕᲘ, Კ. Ი. ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ, Გ. Დ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, Გ. Მ. ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲘ, Ი. Ა. ᲜᲐᲣᲛᲔᲜᲙᲝ, Ლ. Ვ. ᲝᲑᲠᲐᲯᲪᲝᲕᲘ, Ნ. Ა. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲘ, Ე. Რ. ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ, Ა. Ი. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲐ, Რ. Რ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ, Გ. Ა. ᲑᲝᲕᲨᲢᲔᲜᲝᲕᲘᲩᲝᲕᲘ, Მ. Ა. ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ, ᲗᲘ. Ნ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, Რ. Დ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, Ე. Ნ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ, Მ. Ი. ᲪᲐᲠᲘᲝᲕᲘ, Თ. Ნ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, Ნ. Შ. ᲯᲘᲐᲜᲒᲘᲠᲘᲫᲔ.

ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲔᲙᲐᲜᲘᲡᲒᲐᲜ

ᲛᲘᲪᲘᲠᲔ თეატრი თქვენთან ერთად ღრმად დამწუხრა ქართველი ერის სახელოვანი შვილის, მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სოციალისტური შრომის გმირის ვერიკო ივლიანეს ასულ ანჯაფარიძის გარდაცვალებამ. შესანიშნავი შემოქმედის, მშვენიერი სულის ადამიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲪᲐᲠᲘᲝᲕᲘ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲝᲠᲨᲣᲜᲝᲕᲘ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ.

ᲔᲡ დიდად სამწუხარო ამბავი სამშობლოდან შორს — ლონდონში შევიტყვე. ვნაღვლობ, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ ვაცილებ ჩვენი დროის უდიდეს მსახიობს.

ᲠᲐᲰᲘᲜᲐ ᲙᲐᲞᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ვერიკო ანჯაფარიძის ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩემს გულში. ქვეყანამ დაკარგა გენიალური მსახიობი და დიდი მოქალაქე.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲣᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ

ᲣᲡᲐᲡᲢᲠᲐᲜᲐ ჩვენი მწუხარება. ქართველი ერი სამუდამოდ ეთხოვება სახელოვანი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელს, რომელსაც თავისი განუმეორებელი ხელოვნების, ტალანტის, პიროვნულ თვისებათა გამორჩეულობის საზღაურად სამარადისო განსასვენებელი მთაწმინდის სავანეში მიუჩინეს.

ვერიკო ანჯაფარიძე... ეს სახელი ქართველი ქალის ნიჭიერების, სილამაზის, შეუვალობის, გულითადობის სიმბოლოდ იქცა. 70 წელზე მეტხანს იგი კელატარივით ენთო სცენაზე, როგორც უბრალოდ, ჩვეულებრივ ადამიანს, ჩვენ ახალგაზრდობას, ჩვენს ხალხს, როგორც ხელოვნების მაღალი კვარცხლბეკიდან სამშობლოსადმი დაუღალავი სამსახურის ნათელი, ცოცხალი მაგალითი.

მოელი სამოცი წლის გრძელ მანძილზე მის ერთგულ მაყურებელს ყოველთვის მაკვირვებდა მისი გამოულეველი ენერგია, მუდამ მაძიებელი სული, ყოველთვის ახალი და ახლებური სცენური სახეები, მისი უძლიერესი და უმაღლესი ნიჭით აღნიშნული გარდასახვები.

მაგრამ ჩემ თვალწინ, პირველ ყოვლისა, იგი მაინც დგას ქუთაისის პატარა თეატრის სცენაზე უბრალო ჩხეიძესთან ერთად და განუწყვეტლად მესმის მისი საყვარელად მინაზებული ხმა — ურიელ!

დღეს უცებ ბოლომდე დაეშვა ფარდა და ერთბაშად ფარდის მიღმა აღმოჩნდა ჩვენი ახალი ქართული საბჭოთა თეატრის მთელი ლეგენდარული ეპოქა, რომელიც ამ დიდებული მანდილოსნის წასვლის შემდეგ უკვე საბოლოოდ, მოუბრუნებლად ისტორიას ეკუთვნის.

მშვიდობით, ჩვენო განუმეორებელო ვერიკო!

მშვიდობით, მარად დაუვიწყარო ივდიო!

ამიერიდან შენი სახელი მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების განსაკუთრებულად ღვაწლმოსილ კორიფეთა თანავარსკვლავედნია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲓᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ

...ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓᲐᲪ წავიდა, ლამაზადვე გადასახლდა თავის მეორე სიცოცხლეში — უკვდავებაში. ასე ლამაზად წასვლას სხვაც ბევრი ინატრებდა. წავიდა თითქმის პირდაპირ ტრიბუნიდან, სადაც ისევ თავის თვალისჩინზე, თავის სულთქმაზე, თავის გულის ძგერაზე საუბრობდა — თეატრზე, მხოლოდ თეატრზე, რომელსაც მთელი თავისი ვეებერთელა სიცოცხლე ზვარაკად მიუტანა.

ყველასათვის, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენთვის, უფროსი თაობების ადამიანებისათვის, მისი ძველი თაყვანისმცემლებისა და მეგობრებისათვის არის მძიმე და ძნელი მასთან საბოლოო გამოთხოვება. სამუდამოდ მოსწყდა ჩვენი სულის ოდესღაც ბედნიერ მთლიანობას ქიდევ ერთი დიდი ცოცხალი ნაწილი, რომელსაც ათეული წლების გრძელ მანძილზე ერქვა ვერიკო ანჯაფარიძე. ცას, აბა, ვინ გამოვეკერებთ, მაგრამ, გავიმეორებ ერთხელ თქმულს — დიდ შემოქმედთა სიკვდილი ქვეყნისთვის ყოველთვის ნაადრევია — ვერიკო ანჯაფარიძე ჯერაც და ყოველთვისაც სჭირდებოდა ჩვენს კულტურას, ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს ხალხს, როგორც ხელოვნების მაღალი კვარცხლბეკიდან სამშობლოსადმი დაუღალავი სამსახურის ნათელი, ცოცხალი მაგალითი.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

ᲛᲝᲛᲮᲘᲖᲚᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲖᲝᲛᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲓᲘᲓᲘ ყოველთვის შორიდან უკეთ მოჩანსო — ნათქვამია. ვერიკო ანჯაფარიძის სიდიადეს ჩვენ მის სიცოცხლეშიც ვგრძნობდით ცხოვლად, მაგრამ ამ რამდენიმე დღეს მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო მკაფიოდ დაგვანახვა ამ დიდი მსახიობის განვლილი ცხოვრება, ეს რამდენიმე დღე სიკვდილიდან უკვდავებისკენ მიმავალი გზის დასაბამია. ჩვენგან წავიდა დიდი შემოქმედი, შეუერთდა მარადისობას, ისტორიას, მაგრამ ვგრძნობთ იმასაც, როგორ ყოველ წამს იზრდება აზრი და მნიშვნელობა ყველაფერი იმისა, რაც მან დაგვიტოვა, როგორც ნათელი დიდი ტალანტის ცხოვრებისა, მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილი შემოქმედებისა, ჩვენთვის მარად ძვირფასი და მახლობელი.

ჩვენ ისე შევეჩვიეთ ვერიკო ანჯაფარიძეს, ისე ყოველდღიურ აუცილებლობად გვჰეროდა მისი სიცოცხლე, ღრმად ხანდაზმულობის მიუხედავად მოულოდნელობად გვეჩვენა მისი გარდაცვალება. და ეს იმიტომ, რომ იგი სიცოცხლშივე იქცა თვისი ხალხის და ყველა ჩვენგანის განუყოფელ ნაწილად. ამ მთლიანობას სიკვდილი ვერ დაარღვევს, ვერ გაწყვეტს. მთელი ჩემი ცხოვრება თეატრში, თამაშობდა თუ არ თამაშობდა ჩემს სპექტაკლებში, დაკავშირებული იყო ვერიკო ანჯაფარიძესთან. მისი დანიშნულება და ღვაწლი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ერთ თეატრში მოღვაწეობა. და მაინც განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ჩემში, როგორც რეჟისორში და ადამიანში ღრმად დატოვა ვერიკო ანჯაფარიძემ. დაწყებული ჩემი პირველი სპექტაკლით „სასტუმროს დიასახლისთ“, სადაც იგი მირანდოლინის თამაშობდა, და დამთავრებული „შთამომავლობით“, ფატი გურიელის საოცრად მომხიბლავი ხანდაზმულობის მშვენიერებით და არტისტიზმით, იგი მუდამ იყო ჩემთვის საყვარელი მსახიობი, საოცარი წარმოსახვისა და მოულოდნელი აღმოჩენების ამოუწურავი არტისტი, რომელიც მოქმედებდა ყველაზე და ყველაფერზე, იწვოდა და ანთებდა, დაუშურებელი შთაგონებით იხარჯებოდა, ნიჭიერებით გაბრწყინებული ულამაზეს არსებად მეჩვენებოდა მაშინაც, როცა განუმეორებელ, მოჭიხლავ მირანდოლინას თამაშობდა და მშვენიერი იყო მაშინაც, როცა თითქოს ჩვენი ცხოვრებიდან სცენაზე ასული, ცხოვრობდა ღრმად ადამიანური, უბრალო და მართალი ფატი გურიელის ცხოვრებით. იგი მართლაც ბედნიერად შეაბერდა ქართულ სცენას ისე, რომ არასოდეს დაშრრებია თავის წარმტაც ახალგაზრდობას. მის არსებაში ერთმანეთს არასოდეს უპირისპირდებოდნენ, არასოდეს გამორიცხავდნენ პოეზია და სიმართლე, უაღრესად ადამიანური, მიწიერი რეალიზმი და ზეაწეული რომანტიკულობა.

მას მოჰქონდა თეატრის ძნელსა და რთულ ცხოვრებაში დაუშრეტელი ენერგია, რწმენა და იმედი, იგი შთაგვაგონებდა, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ხალხი და თეატრი, როგორ უნდა შესწირო მას ყველაფერი იმ სიყვარულის ფასად, რომლითაც ასე მშვენიერი და პათეტიკურად დიდებულია დღეს მისი გარდაცვალებაც.

იგი იყო თეატრის ეშმარიტი დღესასწაულების უშუალო შემოქმედთაგანი. და მისი სიცოცხლე თეატრის ისტორიაში იმ ზეიმების ჩაუქრობელი შუქით იბრწყინებს მარად და არანაკლებ აუცილებელი, მხნეობისა და იმედის მომტანი იყო მაშინაც, როცა თეატრს ეშვი იპყრობდა, როცა რთული ძიებებისა და წარუმატებლობის ჟამს სულიერი გაუტეხლობა და რწმენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ზდებოდა. იგი იყო ქართული სცენის ყველაზე ახალგაზრდა ქალიშვილიც და მისი თამაჯიარა მშვენიერი დედაც.

და მას ასეთს, მომხიბლავს და განუმეორებელს სამარადისოდ შეინახავს თეატრის უკვდავი ხელოვნების მეხსიერება.

ნათელი სევდით და სიამაყით თავს ვხრით ვერიკო ანჯაფარიძის მშვენიერი მარადისობის წინაშე.

ᲒᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲫᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲒᲘ

ᲕᲕᲔᲠ ამ სტრიქონებს და თვალწინ მიდგას ქალბატონი ვერიკოს ბოლო როლი ქართულ კინოში — ერთი წუთით გაელვება თენგიზ აბულაძის ფილმში „მონანიება“. ეს ანჯაფარიძისეული გაელვებაა, კისი უდიდესი ნიჭის გამონაშუქია... რამდენი ასეთი დიდი და მცირე როლით დაუმშვენებია ვერიკო ანჯაფარიძეს ეროვნული კინემატოგრაფი, შეუქმნია დაუვიწყარი სახეები, რომლებიც კინოსამსახიობო ხელოვნების ნიმუშად დარჩება ყოველთვის.

საბედნიეროდ, კინემატოგრაფის წყალობით, თაობებს შეუძლიათ ნახონ ეკრანზე ვერიკო ანჯაფარიძის უზარმაზარი ტალანტი და შემართება, ნახონ მისი ტრაგიკული თუ სახასიათო როლები, რომლებითაც მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ კინოს.

მშვიდობით, ქალბატონო ვერიკო, მსუბუქი იყოს თქვენთვის მთაწმინდის წმინდა მიწა!

ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ვერიკო ანჯაფარიძე ალექსანდრე ახმეტელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 1987 წლის 14 იანვარს; ვერიკო ანჯაფარიძე და ელენე გოგოლევა — ორი დედაბოძი საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა, თანამოაზრენი და მეგობრები.

ᲣᲙᲡᲝᲤᲘᲜᲘ

ᲤᲘᲚᲐᲢᲔᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘ • ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲘᲨᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ წლების „დიპლომატიურ ლექსიკონში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვათშეხამება „სრულიად ევროპის პროცესი“. გაშიფრო იგი — ნიშნავს ჩამოთვალო ამ მიმართულებათა ერთობლიობა, რომლებზეც წარმოებს ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისა და ნდობის განმტკიცების, გამალებული შეიარაღების აღგამვისა და ძველ კონტინენტზე ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის. პროცესს დასაბამი მიეცა 1975 წელს ჰელსინკში, სადაც მომდინარეობდა თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. ამ თათბირმა სრულიად ევროპის მასშტაბით დაადასტურა საერთაშორისო ცხოვრების წამყვანი ტენდენცია — სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, სადავო პრობლემათა და წინააღმდეგობათა მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების ძიების ტენდენცია.

სრულიად ევროპის პროცესის განგრძობაა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შეხვედრის მეორე ეტაპიც, რომელიც 27 იანვარს დაიწყო ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. 33 ევროპული სახელმწიფოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენელთა შეხვედრებმ მიეძღვნა ჰელსინკის საბოლოო აქტის შესრულების მიმოხილვას.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ვენის ფორუმი უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიანი ევროპის მშენებლობის, განიარაღების საქმის პროგრესის, ყველა სფეროში კონტაქტებისა და ადამიანთა შორის ცოცხალი ურთიერთობის გაფართოებისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა იდეა — მოწვეულ იქნეს მოსკოვში ევროპის სახელმწიფოთა ავტორიტეტული კონფერენცია ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხთა მთელი კომპლექსის შესახებ. საქმე ეხება ადამიანთა კონტაქტებს, ინფორმაციას, კულტურას, განათლებას. ჩეხოსლოვაკიამ წამოაყენა მეორე დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა — გამართონ სრულიად ევროპის ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ხელს შეუწყობდა სავაჭრო, მეცნიერული და ტექნიკური ურთიერთობის გაფართოების ჩახერგილი გზის გაწმენდას.

ვენის შეხვედრის პირველ ეტაპზე პოლონეთმა შეიტანა დოკუმენტის პროექტი, რომელშიც წამოყენებულია წინადადება, კერძოდ, პარალელურად განიხილონ ნდობის ღონისძიებანი და განიარაღების საკითხები. ამ მიმართულების წარმატება გააადვილებდა მუშაობასაც ბოლაპარაკებაზე, რომელიც მიმდინარეობს ცენტრალურ ევროპაში შეირაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ. მოლაპარაკების 41-ე რაუნდი აქვე, ვენაშივე დაიწყო 29 იანვარს.

აქამდე ვენის შეხვედრის წარმატების აბრკოლებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების პოზიცია, რომლებიც ამ ფორუმს იყენებენ წმინდა პროპაგანდისტული ანტიკომუნისტური აგიტაციისათვის. ნატოს ქვეყნების წარმომადგენლებს არ შემოუტანიათ არც ერთი კონკრეტული წინადადება, სამაგიეროდ დიდად გაისარჯნენ ხალხთა შორის მტრობის გაღვივების, ცილისწამებისა და მონაჭორების გავრცელების ასპარეზზე. აიღებენ თუ არა ხელს ამჯერად ასეთ ტაქტიკაზე? პირველი ცნობები მაინცდამაინც დიდად არ გვაიმედებს. ვაშინგტონში ვენის შეხვედრის ახალი ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით გაავრცელეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადების ტექსტი, რომელშიც, კერძოდ, პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში კვლავ ტრაგიკულია“. როგორც ვხედავთ, პრეზიდენტი კვლავინდებურად მზად არის ანტისაბჭოურობას ანაცვალოს სიმართლე და საღი აზრი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის მთავრობა აპირებს განაგრძოს ქვეყნის ეკონომიკის დენაციონალიზაციის პროგრამა. ეს განაცხადა საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრმა, ეკონომიკის, ფინანსთა და დენაციონალიზაციის მინისტრმა ედუარდ ბალადიურმა.

„ანტენ-2“ ტელეკომპანიის პროგრამით გამოსვლის დროს მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ახლა კაბინეტი აპირებს დაიწყოს ტფ-1 სახელმწიფო ტელეკომპანიის, რამდენიმე ბანკის, ელექტრონტექნიკური კონცერნის დენაციონალიზაცია, მემარჯვენე პარტიათა ახლადდელმა მთავრობამ უკვე მოაზდინა „ს ე ნ-გ ო ბ ე ნის“ ქიმიური კონცერნისა და „პარიბას“ საფინანსო ჯგუფის დენაციონალიზაცია. უკვე 1986 წლის პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მემარჯვენე პარტიების მიერ შემუშავებული პროგრამის შესაბამისად, მთავრობა აპირებს კერძო კაპიტალს გადასცეს სულ 65 სამრეწველო და საფინანსო კომპანია.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. ბრაზილიის დედაქალაქში კვირას საზეიმოდ გაიხსნა ეროვნული დამფუძნებელი კრების სესია. პარლამენტარებმა უნდა შეიმუშაონ და მოიწონონ ბრაზილიის ახალი კონსტიტუცია, რომელიც შეცვლის სამხედრო რეჟიმის დროიდან მოქმედ ახლანდელ ძირითად კანონს. ეროვნული დამფუძნებელი კრების წევრები აირჩიეს შარშან 15 ნოემბერს პირველი არჩევნების დროს, რომელიც თითქმის 20 წელია არ მოწყობილა. წინა დღით რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას, ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოზე სარნეიმ პარლამენტარებს მოუწოდა შეიმუშაონ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც საქმით უზრუნველყოფს სამოქალაქო თავისუფლებებსა და ქვეყნის განვითარებას დემოკრატიისა და პროგრესის გზით.

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲧᲠᲘᲐᲜ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. სარკეტო კრეჟესერი „ჰარი იარნელი“, რომელიც ამერიკის მეექვსე ფლოტის შემადგენლობაში შედის, ესპანეთის პალმის ნავსადგურიდან გაიგზავნა მალიორკისაკენ (ბალეარის კუნძულები) „ბაურკეფელი მიმართულებით“. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობამ ამ ნავსადგურში თავი მოუყარა კიდევ ოთხ ხომალდს. კადისის მახლობლად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზაზე არის კიდევ ხუთი ამერიკული სამხედრო ხომალდი, რომლებზეც კომანდისების ნაწილებია.

ᲡᲐᲖᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲐᲑᲔᲜᲘ აილი იოჰანის ასული, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ᲐᲚᲘᲞᲘᲐᲜᲘ პასიონარია ლიპარტის ასული, სომხეთის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ᲐᲚᲘᲛᲝᲕᲐ ხალიმახონი, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, უზბეკეთის სსრ.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ტიხონის ასული, ვორონეჟის ოლქის ქაშაფურის ნაწარმის ქარხნის ოპერატორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲐᲠᲘᲐᲜᲐᲒᲔᲚᲘᲫᲔ აკმარალ ჰაიდარის ასული, აზერბაიჯანის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ᲑᲐᲠᲣᲚᲘᲜᲐ იულია ტიტეს ასული, მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲑᲔᲠᲔᲜᲘᲜᲐ ნატალია არტემის ასული, საბჭოთა კავშირის ქალთა მუდმივი წარმომადგენელი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოში.

ᲑᲝᲑᲝᲡᲐᲓᲘᲙᲝᲕᲐ გულჯახონ ბობოს ასული, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ᲒᲐᲚᲘᲜᲐ გალინა ნიკოლოზის ასული, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲒᲐᲠᲙᲣᲨᲐ მარიამ სავლეს ასული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი.

ᲒᲚᲐᲕᲐᲙᲘ თამარ ვლადიმერის ასული, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲒᲝᲚᲣᲑᲔᲕᲐ ვალენტინა ნიკოლოზის ასული, ივანოვოს კირომის სახელობის ფაბრიკის დირექტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

ᲓᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘᲜᲐ დანია სალიხის ასული, თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

ᲓᲔᲠᲘᲐᲑᲘᲜᲐ ვალენტინა ივანეს ასული, სკკპ კუოგანის სოოლქო კომიტეტის მდივანი.

ᲓᲠᲣᲜᲘᲜᲐ იულია ვლადიმერის ასული, პოეტი, ქ. მოსკოვი.

ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲐ ტატიანა გიორგის ასული, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲙᲐᲚᲛᲘᲙᲝᲕᲐ ვალერია ნიკოლოზის ასული, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲐ ნელი პაველს ასული, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ᲙᲘᲡᲔᲚᲝᲕᲐ ნინო ალექსანდრეს ასული, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ჟურნალ „მსოფლიოს ქალების“ რუსული გამოცემის მთავარი რედაქტორი.

**

შევუკვეთოთ საქალაქთაშორისო ლაპარაკი

თბილისი. დავანებე „საკორესპონდენტო“ ანგარიშის უპირატესობას და მოთმინება და ბუტერბროდები მოვიმარაგე. დილის 11 საათია, დავიწყოთ... ავკრიფე „07“. მეორედ ავკრიფე „07“. მეხუთედ, მეათედ... ვრეკავ და ვრეკავ და თან ინტერესი მიცხოველდება. ყურმილში ჩემს ზუმერთან ერთად გაისმის ათასგვარი ბგერები: შრიალებს ოკეანე, შიშინებს აცეტილენის სანთურა, ჭრიჭინებს ჭრიჭინა. ყოველივე ეს ნათლად წარმომიდგა თვალწინ. ბოლოს, როგორც იქნა, გაისმა გრძელი სიგნალები და — ჩხინკ...

— ქალაქთვილო, — ემუდარება საიდანღაც ბანი, — მომეცით ჩოხატაური.

— ჩოხატაურს ვერ მოგცემთ, ამხანაგო!

კვლავ ვატრიალებ ტელეფონის დისკოს. ისევ ჩხინკ: „საყვარელო, მომეცით მეცამეტე პოლეკნიკა!“. ვუპასუხებ:

— კარგი, ოღონდ „07“ მომეცით.

გულო, ჩაჯექ ბუდეში. განვაგრძობ დისკოს ტრიალს — 11 საათი და 35 წუთია. და აი, რაღაც ბედად, მოვარტყი „შვიდიანში“.

— საქალაქთაშორისო გისმენთ!

სანამუშოდ სწრაფად მიიღეს ჩემი შეკვეთა კალუგის ოლქის ქალაქ ობნინსკზე. უდავიდარაბოდ. თუმცა ზოგიერთი საჭირო რამეც გამორჩა: ტელეფონისტს დაავიწყდა ეთქვა თავისი ნომერი — აბონენტებს კი ურჩევენ აუცილებლად დაიხსომონ იგი.

კვლავ ვრეკავ „07“, თითქმის მაშინვე გავედი (ობილისელებმა, რომლებსაც შავ დღეს აყენებს ტელეფონი, ტყუილად კი არ გამოიგონეს ტერმინი „არაზი გავედი“). თუ შეიძლება, დამიზუსტეთ, ვინ მიიღო ამ ერთი წუთის წინათ შეკვეთა ობნინსკზე? შეუძლებელია, მიპასუხებენ, აქ ორმოცი ვართო (სინამდვილეში კი, მგონი, ცხრანი უნდა იყვნენ). ბედს ვურიგდები და ველი.

ორი საათის ლოდინისა და საცნობარში ერთი მიმართვის შემდეგ შემაერთეს. ეს თითქმის რეკორდია. ამ დღეებში იგივე ობნინსკს ოთხსაათ-ნახევარი ველოდებოდი — თანაც ამაოდ. სეგა-სტოპოლი კი, თუმცა, რაღა შორს წავიდე, გეგეჭკორი, საქართველოს რაიცენტრი, უბრალოდ არ მომცეს — მორჩა და გათავდა. მაგრამ დღეს ეტყობა იღბლიანი დღეა.

ცხაკაიასთან საათისა და ოცი წუთის შემდეგ შემაერთეს. რა თქმა უნდა, ჯერ „საღენზე“ გაყურყუტებენ. „ლაპარაკის მომზადება“ — ასე უწოდებს ამას ინსტრუქცია. მერე სამჯერ გაქრება და გამოჩნდება ცხაკაიელი მორიგე, სამჯერ არცთუ მომზადებული გამოგკითხავს, სახელდობრ რომელი ნომერი გჭირდება. მერე შეცდომით სხვასთან დაგაკავშირებს, შემდეგ კი ჩემთვის საჭირო ნომერი თითქოს არ უპასუხებს. გაივლის კიდევ საათი-საათნახევარი და როგორც იქნა ილაპარაკებ. თუმცა ესეც კია, შუა ლაპარაკში გამითშეს (ეტყობა, რაღაც გაფუჭდა). მაგრამ ეს უკვე წვრილმანებია.

ვრეკავ თბილისთან უახლოეს ქალაქ რუსთავში — აქ როგორც ამბობენ, პირდაპირი კავშირია, როგორც ქალაქის ნებისმიერ სატელეფონო სადგურთან. არ დაიჯეროთ... ასეთ „პირდაპირს“ სჯობს, გამოცდილების თანახმად, მრუდით შემოუაროთ. აი, „07“-იც მშვიდად იღებს რუსთავის შეკვეთას. მატუოლობს საქალაქთაშორისო ხაზების დატვირთვა? რა თქმა უნდა. დროის დანაკარგები?! რუსთავს საათისა და ათი წუთის შემდეგ მაძლევენ. ამ დროში თავისუფლად მემიძლო ჩავსულიყავი და უკან დაბრუნებულიყავი.

ორ საათზე ცოტა მეტი დაგჭირდებათ ლენინგრადთან დაკავშირებისათვის. კიევს მაშინვე მოგცემენ, მაგრამ ისე ცუდად ისმის, იტყვით, ნეტა არ მოეცითო. ზუსტად ორმოცი წუთი დამჭირდება მოსკოვთან ავტომატური კავშირის დასამყარებლად. და მაინც, იღბლიანი დღეა.

საქალაქთაშორისო სადგურში მაცნობეს: შეკვეთების 98 პროცენტს ერთ საათში ვასრულებთო. ღმერთო ჩემო, ნეტავ სად არის ამ ბედნიერთა უდიდესი მასა?

— ჩვენი კომუტატორები 25 წელს გვემსახურებიან, — მეუბნება ა. ფერაძე, საკომუტატორო საამქროს უფროსი. — ძალიან დიდია „ჩაურთველობის“ პროცენტი, თანაც ცუდად ისმის. კავშირის დამყარებას ამსუბუქებს ნახევარავტომატები, მაგრამ ისინი პარკის მეოთხედსაც კი არ შეადგენენ.

— „07“-ის დარეკვაც რომ ვერ ხერხდება. ამას ხომ აღიარებთ?

— დიახ, სპეციალანძი ხშირად ფერხდება. მაგრამ ჩვენ თვითონაც ძალზე გვიჭირს საქალაქო ტელეფონების აკრეფა. ხდება ხოლმე, ხაზზე გაქვს რთული სამმაგი ტრანზიტი, თბილისის ნომერზე ვეარა და ვერ გადიხარ. საშუხარია, მაგრამ ზოგიერთი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურიც უკეთ არ მუშაობს.

კარგით, მაგრამ ავტომატური კავშირის იმედი რომ გქონდათ, არ გამართლდა?

— ავტომატიკის ათვისების მხრივ რესპუბლიკა, ჩვენდა სავალალოდ, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, — მიპასუხებს თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის უფროსი გ. კეთილაძე.

გამოსაცალი? აშენდება ავტომატური სადგურის მეორე ეიგი. ოღონდ, შევნიშნავთ, პირველი რიგი დღემდე მხოლოდ 78 პროცენტით არის ათვისებული.

უკანასკნელი შეკითხვა — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს ბ. ბოჭორიშვილს: ბოლოს და ბოლოს, მოწესრიგდება თუ არა სატელეფონო საქმენი?

პასუხზე ვერაფერს იტყვი. მიმდინარეობს ძველი ავტომატური სატელეფონო სადგურების სრული რეკონსტრუქცია და ელექტრონული სადგურების მოწყობა, რომლებიც, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი იქნება ჩვენს ქვეყანაში. თუ უკეთ შესრულდა დაგენილება კავშირგაბმულობის გაუმჯობესების შესახებ, ავტომატიკაზე გადავიყვანთ საქართველოს რაიონებსაც. მაგრამ ასეთი პერსპექტივებით ერთხელ და ორჯერ არ ვუხუგეშებივართ. გადის ათწლეულები, და კავშირგაბმულობა — პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი და ხშირად მისი „სავიზიტო ბარათი“, კავშირგაბმულობა, რომელსაც ზოგჯერ კარგ გზებზე მეტი მნიშვნელობა აქვს, რესპუბლიკაში კვლავ უაღრესად არადამაკმაყოფილებელ დონეზეა.

ტ. ჭანტურია,
„იზვესტიის“ სპეც. კორ.
„იზვესტია“. 1987 წ. 1-II.

სტიქია და ადამიანები

ᲔᲠᲗᲘ ღამეში შავი ზღვის მახლობლად წარმოიშვა... ტბა, რომლის ფართობი ორას კვადრატულ კილომეტრს სჭარბობს. იგი „შექმნა“ მდინარე რიონმა, რომელმაც რამდენიმეგან გაიხვია ნაპირსამაგრი ნაგებობანი და კოლხეთის დაბლობი დატბორა. მდინარის აბობოქრება გამოიწვია მთაში თოვლის ჩამოზვავებამ, დიდთოვლობამ და კოკისპირულმა წვიმამ.

...ფოთის მახლობლად წყალგამყოფი კაშხლის რაბები სულმთლად გაუღიათ, მაგრამ წყალი იმდენია, რომ იგი ნაგებობის ზედა ჯაკისს ფარავს. ეერტმფრინავიდან მოჩანს გზაში გაჩხერული, სახურავამდე წყლით დაფარული ავტობუსები, სატვირთო ავტომობილები და თვით მძლავრი ტრაქტორები. შექმნილ მდგომარეობას განმარტავს სტიქიასთან ბრძოლის რესპუბლიკური შტაბის წევრი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვარლამ შადური.**

— ტექნიკა უბედურების ადგილებისაკენ იგზავნებოდა. სპეციალისტებმა ივარაუდეს, რომ ადადდებოდა რიონი და სხვა მდინარეები, რომლებიც სათავეს კავკასიონის მთებში იღებენ. ამტომ სათანადოდ ემზადებოდნენ კიდეც. მოეწყო დამატებითი ნაპირგამაგრების სამუშაოები, მოვიშველიეთ ავტომანქანები და ტრაქტორები, ავარაზშეთ ადგილობრივი მოსახლეობის აქტივი. ყველაზე საშიში ზონებიდან დამოვასახლეთ ხალხი. მაგრამ დადთოვლობამ და წვიმამ, ძლიერმა ქარმა, რომლებიც წყალდადობის ზედ დაერთო, მკვეთრად გაზარდეს სტიქიის დარტყმის ძალა. ჭერამდე წყალში აღმოჩნდა მარტო ხობის რაიონის ბუთი სოფლის სახლები. ღამის პირველ საათზე, როგორც კი შემოვიდა საგანგაშო ცნობები დაწყებული წყალდიდობის შესახებ, ტექნიკა უკვე ადგილზე იყო. და დღის ორ საათზე დაიწყო მოსახლეობის გახიზნვა.

უბედურების რაიონებში სასწრაფოდ ჩავიდნენ სამხედრო მფრინავები და სხვა მეომრები... ამინდის ურთულეს პირობებში ოფიცრები ალექსანდრე ლუკაშევი, ნიკოლოზ მოლოდცოვი, სერგი ბულგაკოვი და სხვები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ეკიპაჟებთან ერთად, რომლებსაც მეთაურობენ სერგი კურტიანი, ევგენი იკაევი, არკადი პორტო-ნთონაძე, არკადი ბუხარეევი, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, შეუძლებელს აკეთებდნენ და ნამდვილი გმირობის მაგალითს გვიჩვენებდნენ. თავდადებით მუშაობდნენ სამოქალაქო თავდაცვის ფორმირებანი.

ხშირად სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ. სამუდამოდ დარჩება სოფელ ჭალადიდის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა ხსოვნაში აზრბაიჯანელი ჭაბუკის აღდამელი რახიან მამედოვის სახელი. ბობოქარმა დინებამ იგი ხიდის ბურჯს მიანარცხა... რიგითი რ. მამედოვი გონს აღარ მოსულა. მაგრამ აქამდე მან 28 კაცი გადარჩინა სიკვდილს.

სულ კი მაშველმა ჯგუფებმა მეომრებთან ერთად უბედურების რაიონებიდან გამოიყვანეს 6.000 კაცი. ყველა გადარჩენილს გაუწიეს სამედიცინო დახმარება, უზრუნველყვეს დროებითი ბინით. ისინი შეიფარა ასობით ოჯახმა რესპუბლიკის ბევრ რაიონში.

იმას, თუ რა მოჰყვა სტიქიის შემოტევას, მოწმობს ადგილებიდან მოსული ცნობები.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲘ. რაიონის მთელ ტერიტორიაზე დღემდე არ შეწყვეტილა ბარდნა. ალაგ-ალაგ თოვლის საბურველის სისქე ხუთ მეტრს აღწევს, შეწყდა ავტომობილის მოძრაობა. ჩამოზვავებულმა თოვლმა დაწყვიტა სატელეფონო კავშირგაბმულობა და დიდ მანძილზე მოშალა ელექტროგადამცემი ხაზები, უაღრესად რთული ვითარება შექმნა სოფლებში კახურაში, ბაბილში, ხაჩეშში. მხოლოდ მაშველთა, მოხალისეთა თავდადებული მოქმედების მეოხებით შეძლეს ადამიანთა გამოხსნა თოვლის ტყვეობიდან. სატელეფონო კავშირგაბმულობის დაზიანების გამო დღემდე გაურკვეველია, რა მდგომარეობაა ზოგიერთ შორეულ სოფელსა და მეცხოველეობის ფერმაში. მაგრამ იქ უკვე გაიგზავნა მაშველი რაზმები, რომლებიც სურსათ-სანოვაგესა და მედიკამენტებს ჩაუტანენ გარე სამყაროს მოწყვეტილ ადამიანებს. რაიონში ფართოდ გაჩაღდა სახალხო-სამეურნეო ობიექტების აღდგენის სამუშაოები.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს: სამტრედიის რაიონის სახალხო მეურნეობას დაახლოებით ორი მილიონი მანეთის ზარალი მიადგა. საზოგადოებრივ მეურნეობებში, საკარმიდამო ნაკვეთებში წაირეცხა 400 ჰექტარზე მეტი ბოსტნეული კულტურების ნათესი, დაზიანდა სხვა სასოფლო-სამეურნეო ფართობები და ნარგავები. ავდარმა ყველაზე ძლიერი დარტყმა მიაყენა ლენინისა და კიკვიძის სახელობის, აგრეთვე სოფელ გომის კოლმეურნეობებს. ამ უკანასკნელ მეურნეობაში ოპერატიულად მიღებული ღონისძიებების მეოხებით შეძლეს მთელი პირუტყვი უსაფრთხო ადგილზე გადაეყვანათ. წინასწარი მონაცემებით, რაიონში წალეკილია სამი ხიდი, მწყობრიდან გამოვიდა 30 კილომეტრზე მეტი სიგრძის გზები, დაიღუბა დიდძალი პირუტყვი, ძირითადად, მოსახლეობის პირადი სარგებლობისა. დაბლობში დაგროვილი წყლის გადასაგდებად გაჰყავთ წყალქვეშა არხები.

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ. 19 დეკემბრიდან გრძელდება თოვა ბესტიის რაიონში. აქ, ასევე ჩაიკეტა ავტომობილის მოძრაობა, უმოქმედოდ არის სატელეფონო კავშირგაბმულობა. ზვავმა, რომელიც 31 იანვარს დაატყდა თავს სოფელ უშგულს, დაახვრია 40 საცხოვრებელი სახლი, სხვა ნაგებობანი. ადამიანთა მეთელი ძალები და ტექნიკა მობილიზებულია თოვლის ხერგილების გასაწმენდად, ხუთ დაშორებულ სოფლსაბჭოსთან კავშირის დასამყარებლად. უსაფრთხო ადგილებშია განთავსებული 1.200 ოჯახი.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. საკმაოდ ბევრი თოვლი მოვიდა ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე. მერე მთელ დღეს თოვდა და წვიმდა. 30 იანვარს საღამოს კი კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

როგორც კი გამოჩნდა მოსალოდნელი წყალდიდობის ნიშნები, რაიონში შეიქმნა სტიქიასთან მებრძოლი შტაბი რაიკომის პირველი მდივნის კ. გორგოძის ხელმძღვანელობით. შტაბის წევრებს შორის სწრაფად განაწილდა ფუნქციები, მობილიზებულ იქნა ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებანი, შრომითი კოლექტივები. დაიწყო სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება.

თოვლმა სწრაფად დაიწყო დნობა. ნიაღვარმა გაავსო ხეევები და ღელეები. ტალახიანი წყალი მიაწყდა სოფელს და ქალაქს. დაიტბორა გზები, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი და სატელეფონო ხაზები, ადიდებულმა მდინარეებმა მთლიანად წალეკა სასოფლო გზები და ხიდბოგირები.

განსაკუთრებით ადიდდა მდინარე ყვირილა, მას გაშმაგებული ძირულის წყალიც მიემატა და ორი მდინარის ზვირთები ქალაქ ზესტაფონს ეკვეთა. წყალმა ერთგან გაარღვია რკინაბეტონის ჯებირი და ქალაქში შეეარდა. მწყობრიდან გამოვიდა წყალსადენი. მუშაობა შეწყვიტა ფერროშენადნობთა ქარხნის ზოგიერთმა საამქრომ, მთლიანად გაჩერდა კაბელების ქარხანა. დაიტბორა რუსთაველის, ზაპოროჟიეს, ქუთაისის, ეკგელსის, ბიბილაშვილის, ეხგელსის და სხვა ქუჩების მოსახლეობის სახლების პირველი სართულები.

შორაპანსა და სოფელ ბოსლევში წყალმა წაიღო ხიდები, შეავარდა მაღაზიებში, წალეკა აგრეთვე ქალაქ ზესტაფონში სოფელ ცხრაწყაროსაკენ მიმავალი ბოხდი, შეიჭრა სამკერვალო ფაბრიკის ტერიტორიაზე, ავტოსადგურთან, დატბორა რაიკავშირის, კავშირგაბმულობის კვანძის შენობა და სხვა.

მთელი ღამე თეთრად გაათენეს სტიქიასთან ბრძოლის შტაბის წევრებმა. მდინარე ყვირილის ნაპირის ახლომდებარე მოსახლეობა გახიზნეს საიმედო ადგილზე, გაშმაგებულ მდინარეს გზა გადაუკეტეს, რიტმულად მუშაობდა ტექნიკა და ტრანსპორტი. შრომითი კოლექტივები ყველაფერს ღონდღნენ სტიქიის მომძლავრების შესაჩერებლად.

31 იანვარს ნაშუადღევს წყალმა იკლო, მთელი რაიონი ფეხზე დადგა, მიმდინარეობს სტიქიით მიყენებული დაზიანებების აღდგენა და რაიონის შრომის რიტმის ნორმალიზება.

წინასწარ შესრულებული სამუშაოების შედეგად მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდების საქმეში შეფერხებები არ არის.

რაიონში რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მითითებით უკვე ჩავიდნენ გალის, გორის, ქუთაისის, ბათუმის, ცხინვალის, ქარელის და სხვა მეზობელი რაიონების მაშველი ჯგუფები თავისი ტექნიკითა და სხვა საშუალებებით.

ახლა ზესტაფონში გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

ᲯᲘᲐᲗᲣᲠᲐ. ორი დღე და ღამე წვიმდა ჯიათურაში. თოვლის ნადნობი და ნაწვიმარი ერთ უზარმაზარ მდინარედ გაერთიანდა და 30 იანვარს ყვირილა მართლა გადაირია. იგი ვეღარ დაეტია თავის კალაპოტში და ნაპირზე გადმოვიდა.

მდინარემ პირველად ჯებირი გორგაძის ქუჩაზე გაარღვია. მოვარდნილმა ღვარცოფმა მთლიანად დატბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართული, ბაგა-ბაღის შენობა, ელექტროჯიხური და საქვაბე, წალეკა საქსოფლელექტრომშენის ჯიათურის უბნის მექანიზმები, ავტომანქანები, ამწე და სხვა მასალები, გადმოანგრია საბითუმო მაღაზიის შენობის კედლები, ორას მეტრზე აყარა სარკინიგზო ხაზი, წაიღო ოთხი საბაგირო ხიდი.

ღვარცოფისა და ნიაღვრებისაგან დაზიანდა ავტოსადგურის შენობა-ნაგებობანი, მწყობრიდან გამოვიდა კავშირგაბმულობის სისტემა, დაიტბორა წყალსადენი, წყალი შეავარდა აგრეთვე რაკავშირისა და მუშათა მომარაგების მაღაზიებში. მუშაობა შეწყდა ქალაქის ბაგა-ბაღებში, დაზიანებულია მესამე, მეშვიდე და მეცხრე საშუალო სკოლების სახურავები, ნავარძეთის რვაწლიანი სკოლის შენობაში შეწყდა მეცადინეობა. მწყობრიდან გამოვიდა ქალაქის სტადმა და კინოთეატრი.

სოფლებში 475 ჰექტარზე დაიტბორა და გადაარეცხა საშემოდგომო ნათესები, დაზიანდა ფერმის შენობები, სოფელ ხრეითში, ზოდში, წირქვალში, კაცხში და ხვაშთაში მეწყერმა დააზიანა 131 საცხოვრებელი სახლი, ხოლო ზოგიერთი მთგანი მთლიანად დაანგრია. საცხოვრებელი სახლები დაზიანდა აგრეთვე ჯიათურაში ლენინის, კომკავშირის და ვაჟაფშაველას ქუჩაზე.

როგორც ქალაქში, ისე სოფლად დაზიანდა კულტურის სახლები და ბიბლიოთეკები, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები, დიტბორა ქალაქის აფთიაქი.

მწყობრიდან გამოვიდა საჰხერის მიმართულებით და სოფლებში მიმავალი საავტომობილო გზები 58 კილომეტრზე. შეწყდა ტროლეიბუსის მოძრაობა. ქალაქის სხვადასხვა უბანში გამოირთო ელექტროენერგია, დაზიანდა საინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი: „სელაპები“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ახალგაზრდებისათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შვეიცარიელთა ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საფრენი მინდორი“. 17.25 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება“ 18.20 — ლიტერატურული გადაცემა. „ერთი იდეის სამი წიგნი“. 18.55 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ (გადაცემა მეორე). 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — კონკურსალი. 21.30 — თეატრალური აფიშა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „რწმენა, იმედი, სიყვარული“.

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „მისი ახალგაზრდობის რეიეპტი“. 17.50 — განცხადებები. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეურნეობაც და ტექნიკუმიც“. 18.10 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია.

სურათებზე: ასე გამოიყურება ამ დღეებში ხობი — წყალმა დაფარა სახლები; სტიქიასთან ბრძოლაში; დასახმარებლად მოვიდნენ ვერტმფრინავები.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ვალიშვილის ფოტო.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ

საკვლევი მაშინ ფახობს, როდესაც მას სჩადიხარ არა მოვალეობის გამო, არაფად შენი გულისთქმით. სწორედ რომ საკუთარმა გულისთქმამ აიძულა ასობით ადამიანი გაეწვდინა დახმარების ხელი საქართველოს ამ რეგიონების მცხოვრებთათვის, რომლებიც ახობოქრებულმა სტიქიამ დააზარალა. და ახლა, ამ ძნელბედობის უამს, უცნობი მეგობრების თანადგომა ალბათ არანაკლებ მნიშვნელოვანია დატბორილი რაიონების მოსახლეობისათვის, ვიდრე მაშველი სამუშაოების ზუსტი ორგანიზაცია.

განუწყვეტელი რეკვა ტელეფონით და დეპეშები, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს რომ მისდით, გამგზავნის მისამართი მოწმობს, რომ საქართველოს გასაჭირმა ფეხზე დააყენა ხალხი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. აი, მიღებულ დეპეშათაგან ერთი: „ქალაქ ლიპეცკის ბავშვთა რეკონვალესცენტის ექიმებისა და მედდების ბრიგადა მზად არის სასწრაფო დახმარების გასაწევად და ადგილზე ჩამოსახელელად“. ხოლო კოსლოვოდსკის მცხოვრები ვ. მოსკალენკო გვწერს: „დაზარალებული რაიონების მცხოვრებთა დასახმარებლად შემოაქვს 200 მანეთი. დე, ეს მცირედი თანხა ჩემი წვლილი იყოს დახმარების ხელთო ფონდში“.

თანამემამულეთა გასაჭირისადმი გულგრილი მით უმეტეს ვერ დარჩებოდნენ ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის მშრომელები. ქალაქ ზუგდიდის ახალგაზრდობამ წამოაყენა წინადადება შეძლებისდაგვარად დაეხმარონ იმათ, ვინც დაკარგა სახლ-კარი და ხარჩო-საბადებელი.

თელაველები და გურჯაანელები უსახლკაროდ დარჩენილთ ეპატიჟებიან სამუდამოდ გადავიდნენ საცხოვრებლად კახეთში და ბაბრდენიან, რომ უზრუნველყოფენ სათანადო პირობებით. ანალოგიური წინადადებანი შემოვიდა რესპუბლიკის სხვა რეგიონებიდანაც.

მეგობარი ჯირში იცნობა — ამ ბეშარიტების სამართლიანობა ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოვლინდა განსაცდელის ჟამს. მრავალი ადამიანი დღეს ღირსეულად ახარებს ინტერნაციონალიზმის და ძმური ურთიერთდახმარების ზნეობრივ გამოცდას.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲤᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

თბილისის ტრადიციულმა საერთაშორისო შეჯიბრება მკაცრად რეგლამენტირებულია: საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში თითოეული ჭვეყნიდან ცალკეულ წონებში მხოლოდ ერთ საუკეთესოს შეუძლია ჩათვლა მიიღოს. ამრიგად, ერთი ქვეყნიდან ორ ან სამ მოჭიდავეს გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ვერ იხილავთ, თუნდაც მათ სპორტული შედეგებით ასეთ წარმატებას მიაღწიონ. მაგალითად, საქართველოს სპორტსმენთაგან ავთანდილ გოგოლაშვილმა (82 კგ) ფაქტობრივად მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ დებულების თანახმად იგი პრიზიორთა მიღმა დარჩა, ვინაიდან ფინალშიც საბჭოთა სპორტსმენებმა იასპარეზეს და ამ წონიოს კატეგორიაში საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: იური ვორობიოვი (სსრ კავშირი), ვაინ კატანი (აშშ) და პეკა რაუჰალა (ფინეთი). გარდა ამისა, მკაცრმა რეგლამენტმა საშუალება არ მოსცა ეგია მუსიაინს (საქართველო; 57 კგ) მეორე საპრიზო ადგილი დაეკავებინა (ამ წონაში პრიზიორები არიან საბჭოთა ათლეტი რუსლან ყარაევი, ბულგარელი ვალენტინ ივანოვი და ამერიკელი ბერი დევისი). ფინალში მუსიაინი რუსლან ყარაევმა წმინდად დაამარცხა — 2 წუთსა და 14 წამში. დავით გობეჯიშვილმაც (130 კგ) სპორტული შედეგებით ფაქტობრივად მეორე ადგილი დაიკავა, რეგლამენტით კი ისიც ვერ მოხვდა პრიზიორებში. ამ წონაში უძლიერესი იყო ასლან ხადარცევი (სსრ კავშირი), რომელმაც ფინალში სძლია გობეჯიშვილს. მეორე ადგილზე გამოვიდა ანდრეას შრიოდერი (გდრ), მესამეზე — მორის ჯონსონი (აშშ). აღსანიშნავია ისიც, რომ უმძიმესი წონის მოჭიდავეთა ასპარეზობაში ზაზა თურმანიძემ მესამე ადგილის ტოლფასი შედეგი აჩვენა.

ახლა საქართველოს იმ სპორტსმენებზეც, რომლებმაც ჩინებულად ჩაბარეს გამოცდა და ტურნირის გამარჯვებულთა წოდება მოიპოვეს: ესენი არიან ზურაბ ტატუაშვილი (52 კგ) და ლერი ხაბელოვი (100 კგ). ტატუაშვილი, რომელიც თავის ქვეჯგუფში უძლიერესი იყო, ფინალში შეხვდა საკმაოდ ძლიერ მეტოქეს კიმ ენგ ნიკს (კსდრ) და მნიშვნელოვანი უპირატესობით (5:1) დაამარცხა. ამ წონითს კატეგორიაში მესამე ადგილი წილად ხვდა მარკ შვაბს (აშშ). ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთაგან მართლაც შთამბეჭდავად ისასპარეზა ხაბელოვმა. მან ყველა შეხვედრა მოიგო, ფინალური ორთაბრძოლის მიწურულს კი წმინდა გამარჯვება მოიპოვა რობერტ თიბილოვთან (სსრ კავშირი) და პრიზიორთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბილი შერი (აშშ), მესამეზე — უდო ადამი (გდრ).

დანარჩენ წონითს კატეგორიებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

48 კგ. 1. ლი ზე სიკი (კსდრ), 2. სერგი კარამჩაკოვი (სსრ კავშირი), 3. ტუმეედემბრელ სუხებატორი (მონღოლეთი);

62 კგ. 1. ხაზარ ისაევი (სსრ კავშირი), 2. ავირმედ ინნე (მონღოლეთი), 3. ჯო მაკფერლენდი (აშშ);

68 კგ. 1. აბდულა მაჰმადოვი (სსრ კავშირი), 2. ედ ურბანო (აშშ), 3. ანგელ სირაკოვი (ბულგარეთი);

74 კგ. 1. დეივ შულეი (აშშ), 2. ტარამ მაჰმადოვი (სსრ კავშირი), 3. პლამენ ვესელინოვი (ბულგარეთი);

90 კგ. 1. სანასარ ოჰანესიანი (სსრ კავშირი), 2. ჯიმი შერი (აშშ), 3. ეფი ნეჩრი (პოლონეთი). ამ წონაში ტრავმის გამო არ უასპარეზია ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მოჭიდავეს მამუკა რაზმაძეს, რომლის პოტენციური შესაძლებლობები საკმაოდ მაღალია და რომ ეჭიდავა, შეიძლება მის წონითს კატეგორიაში პრიზიორები სულ სხვა თანამიმდევრობით განაწილებულიყვნენ.

ახლა კი კვლავ რამდენიმე სიტყვა ამ ტურნირში მონაწილე საქართველოს იმ ფალავნებზე, რომლებზეც ყველაზე მეტ იმედებს ვამყარებთ. მათგან ორმა — ზურაბ ტატუაშვილმა და ლერი ხაბელოვმა თავიანთი შესაძლებლობები დანარჩენებთან შედარებით უფრო სრულად გამოავლინეს. და მაინც, გვგონია, რომ პირველს კიდევ აქვს ძალის რეზერვები, რომელთა გამოვლენა დამოკიდებულია მის შემდგომ დაოსტატებაზე. სხვანაირად მას მაღალი რანგის შეჯიბრებებში ხელშესახები წარმატების მოპოვება ერთობ გაუძნელდება. ხაბელოვი გაცილებით სტაბილურია, მაგრამ ალბათ მასაც დასჭირდება ბევრი იმ თვისების გამოვლენა, რომელსაც უმაღლესი დონის ასპარეზობებში საბოლოო გამარჯვება მოაქვს. ცხადია, მხოლოდ ამ პირობით შეიძლება საბჭოთა ოლიმპიურ თუ ქვეყნის ნაკრებში საბოლოოდ დამკვიდრება. რაც შეეხებათ ეგია მუსიაინს და ავთანდილ გოგოლაშვილს, მათ გაცილებით მეტი ჯაფა დასჭირდებათ იმ მწვრვალების დასაპყრობად, რომელთა დაძლევით ასე რიგად ვამაყობთ ხოლმე.

საუბრის ცალკე და დავით გობეჯიშვილი. უმძიმესი წონის — ამ ყველაზე პრესტიჟული წონითი კატეგორიის წარმომადგენელს — 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ გობეჯიშვილს თავის დროზე ყველა უწინასწარმეტყველებდა მაღალ რანგში დიდი ხნით დამკვიდრებას. სამწუხაროდ, ხანი გამოხდა და მან საერთაშორისო სარბილის მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა: კეთილი ნების ასპარეზობებზე და 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელ ბაუმგარტნერს „გადაამბარა“ უძლიერესის წოდება. და აი, ახლაც, თბილისში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე (ბაუმგარტნერი აშკერად არ ჩამოსულა) უკვე ქვეყნის შიგნით გამოუჩნდა საკმაოდ მკაცრი გამომცდელი ასლან ხადარცევის სახით. ამ ორი მოჭიდავის ფინალური შეხვედრაში ხადარცევი სამქულიანი ილეთით დაწინაურდა, შემდეგ თითქმის ორ წუთს მაჯას ჩაუჭიდა და აქტიურ მოქმედების გზები გადაუკეტა. ამ დროს ორივე ათლეტ[illegible] რხოილება ჰქონდა [illegible] ჭიდაობის წესებში, ინ[illegible], რომელიც შეგნებულად ბორკავს მოჭიდავეს ბრეს, მესამე გაფრთხილებით ისჯება და, ცხადია, ორთაბრძოლას დამარცხებული ტოვებს. მსაჯებმა შეხვედრის მიწურულამდე მიიყვანეს ამ სანქციის ფიქსირება, ხოლო როცა მათგან ორმა ამ წესის გამოყენება სცადა, სულ რაღაც სამი წამი აკლდა ორთაბრძოლის დამთავრებას. კიდევ კარგი, რომ ეს არ მოხდა. შეხვედრის დამთავრებამდე მხოლოდ 3 წამით ადრე მოჭიდავის სარბიელიდან მოხსნა, რბილად რომ ვთქვათ, არაეთიკური იქნებოდა. ერთი კი ცხადია, გვერდითმა მსაჯებმა და არბიტრმაც პასიურობის დროზე აღავეთის მიზნით ვერაფერი იღონეს. ერთი სიტყვით, ისინი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ, და მაინც, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ხადარცევმა აჯობა მეტოქეს, მასზე გაცილებით უკეთ იჭიდავა.